პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 67 (18609) სამშაბათი, 22 მარტი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

16 აპრილს კომუნისტური შაბათობა

მონდომებით იჭრომებენ

სოხუმი. (საკ. კორ. ი. გობეჩია). გაზის აპარატურის ექსპერიმენტული ქარხნის კოლექტივი ნაყოფიერად მუშაობს მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლის სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის. მან ორი თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულა. უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი. ხარისხისნიშნიანი ნაწარმის ზვედრითმა წილმა ორი თვის მანძილზე აქ დამზადებული პროდუქციის მოცულობაში 53,8 პროცენტს მიაღწია. მეპარატეები ამასთან დიდ ყურადღებას აქცევენ გამოსაშვები ნაწარმის მოდერნიზაციას.

მონდომებით ემზადება საწარმოს კოლექტივი კომუნისტური შაბათობისათვის. წინასწარი ვარაუდით, ამ დღეს შაბათობაზე 520 კაცი იმუშავებს. ისინი დაამზადებენ 21 ათასი მანეთის 1200 ცალ გაზის ბალონს და 200 ცალ გასათბობ აპარატს — „აფსნის". საწარმო ხუთწლედის ფონდში გადარიცხავს 2.500 მანეთს. ამას გარდა, კოლექტივი მოაგროვებს და სახელმწიფოს ჩააბარებს 5 ტონაზე მეტ ლითონის ჯაროს.

დაზოგილი მასალებით

ჟუთაისი. (საკ. კორ. დ. გედენიძე). მოსკოველთა პატრიოტულ ინიციატივას — მოაწყონ კომუნისტური შაბათობა ვ. ი. ლენინის დაბადების 113 წლისთავის აღსანიშნავად, მხარი დაუჭირეს ს. კიროვის სახელობის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების მეთაურ საწარმოში. აქ უკვე შეიქმნა შაბათობის მომწყობი საორგანიზაციო შტაბი, რომელსაც გაერთიანების გენერალური დირექტორი გ. შენგელია ხელმძღვანელობს.

კომუნისტურ შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 1500 კაცი, რომელთაგან 1300 უშუალოდ პროდუქციის შექმნაზე იმუშავებს. სულ გამომუშავებული იქნება 80 ათასი მანეთის პროდუქცია.

გარდა ამისა, საწარმოს ტერიტორიაზე დაირგვება 150 ხე, კეთილმოწყობა ტერიტორია, შეგროვდება ერთი ტონა ჯართი, დაიზოგება 50 ათასი კვადრატული მეტრი ქსოვილი და 200 კილოვატსაათი ელექტროენერგია.

მაღალი აქტიურობით

ბათუმი. (საკ. კორ. ბ. გორგილაძე). მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივას — 16 აპრილს მოაწყონ კომუნისტური შაბათობა და ეს დღე მაღალი შრომითი ნაყოფიერებით აღნიშნონ, ერთსულოვნად გამოეხმაურნენ აჭარის ასსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოების კოლექტივები.

ქედის, შუახევისა და ხელვაჩაურის სამრეწველო საწარმოებმა გადაწყვიტეს შაბათობის დღეს იმუშაონ დაზოგილი მასალებით. გამოუშვან 2500 მანეთის ხის სხვადასხვა ნაკეთობანი. ხოლო გამომუშავებული პროდუქციის მანეთი გადარიცხონ ეროვნული ეკონომიკის ფონდში. ვახტისაგან თავისუფალი მეტყევეები გაამწვანებენ ტყეს.

შეასრულებენ სარემონტო სამუშაოებს

ქარელი. (საკ. კორ. გ. ვაშაკიძე). საქართველოს შაქრის კომბინატის კოლექტივმა მხარი დაუჭირა მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივას კომუნისტური შაბათობის მოწყობის თაობაზე. საამისოდ აქ გულმოდგინედ ემზადებიან. „წითელ შაბათობაზე" კომბინატის მუშაკებს გადწყვეტილი აქვთ შეასრულონ დიდი მოცულობის სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები.

მრომის დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებს 250 კაცი. გამომუშავებული თანხიდან ხუთწლედის ფონდში 2300 მანეთი გადაირიცხება. ამ დღეს მუშა-მოსამსახურეთა ერთი ნაწილი კეთილმოაწყობს საწარმოს ტერიტორიას, სკვერებს, სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოედნებს, დარგავს ხეებსა და ბუჩქებს.

ქიმიკოსთა წვლილი

ამბროლაური. (საკ. კორ. ვ. ციორეიძე). რაჭის სამთო-ქიმიური ქარხნის კოლექტივი დიდი მონდომებით ემზადება ლენინური შაბათობისათვის, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 113 წლისთავს ეძღვნება.

ამ დღეს უსასყიდლოდ იმუშავებს 700 კაცი, რომელთაგან 400 უშუალოდ პროდუქციის გამოშვებაზე დასაკმდება, დანარჩენები კი გაამწვანებენ და კეთილმოაწყობენ საწარმოს ტერიტორიას.

ქიმიკოსები ამ დღეს 32 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ და ხუთწლედის ფონდში 3 ათას მანეთს გადარიცხავენ.

ქარხნის კოლექტივს რაიონის სამრეწველო საწარმოთა შორის წამყვანი ადგილი უკავია. მან იანვარ-თებერვლის სახელმწიფო გეგმა 108 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით ქიმიკოსებმა უკვე გამოუშვეს 42 ათასი მანეთის ქიმიური ნედლეული.

შეჯიბრება აწრთობს მეგობრობას

ხუთწლედის ყოველი დღე შასანიშნავ ფურცლად შედის ჩვენი პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის მატიანეში. საქართველოს მშრომელები აღმავლობით შრომობენ, რათა არა მარტო ამ წლის რთულ და მასშტაბურ ამოცანებს გაართვან თავი, არამედ მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის წარმატებით დაგვირგვინებასაც მყარი საფუძველი შეუქმნან. ამ გარჯა-რუდუნების ტემპს კი უფრო აძლიერებს ძმობისა და მეგობრობის ისტორიული დოკუმენტის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე დიდი სამზადისი.

სწორედ ამ მოვლენასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რესპუბლიკის პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

ეს დადგენილება, რომელიც ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა, ავალებს საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიებს, დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს, ადგილობრივ პარტიულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს, რუსი და ქართელი ხალხების მეგობრობის პირველი მანიფესტის აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება წარმართონ რესპუბლიკის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების დიდ შესაძლებლობათა უფრო სრულად გამოყენებისათვის.

შთავარ ამოცანად დასახულია, განხორციელდეს ქმედითი და გადაუდებელი ღონისძიებანი მთელ რიგ საწარმოთა და მეურნეობათა ჩამორჩენის დასაძლევად, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, სახელშეკრულებო მიწოდების, შრომის ნაყოფიერების ზრდის როგორც სახელმწიფო გეგმების, ისე ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად. მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს ვითარება კაპიტალურ მშენებლობაში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის საქმეში, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებში. მეტი და მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ნედლეულისა და მასალების, სხვა რესურსების დაზოგვას, ყაირათიანობას, ყველგან, ჩვენი შრომისა და ცხოვრების ყველა უბანზე შეგნებული სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას, მაღალი ორგანიზებულობის დამკვიდრებას.

ხშირად ვამბობთ ხოლმე, სოციალისტური შეჯიბრება, როგორც მასების ცოცხალი შემოქმედება, საყოველთაო-სახალხო საქმეაო. ამიტომ მას განზე ვერ გაუდგება ვერც ერთი შრომითი კოლექტივი. ახლა პარტიულ ორგანიზაციათა უპირველესი საზრუნავი ის არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების აზრი კარგად გააცნონ ყველა მშრომელს, აპოვნინონ თითოეულ მათგანს თავისი ადგილი საერთო მწყობრში. პროპაგანდისტის, მომხსენებლის, ლექტორის სიტყვა, აგიტატორისა და პოლიტინფორმატორის საუბარი, თეორიული კონფერენცია თუ კითხვა-პასუხის საღამო, პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლა — ყოველივე ეს ხელს უნდა უწყობდეს იმას, რომ რესპუბლიკის მშრომელებს უფრო ღრმად ჩავუნერგოთ ჩვენი დიადი თანამგზავრობის, სხვა ერებთან და ეროვნებებთან მეგობრობის გრძნობა, მეტად გაიზარდოს სოციალისტური შეჯიბრების როლი ეკონომიკური და სოციალური განვითარების აქტუალურ ამოცანათა გადაწყვეტაში.

ამიტომ საჭიროა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩავაბათ მუშათა, კოლმეურნეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შრომითი კოლექტივები, უზრუნველვყოთ მასში რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური რესპუბლიკების მშრომელთა აქტიური მონაწილეობა.

ამასთან, ერთობლივი დადგენილება მიზანშეწონილად მიიჩნევს მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელებას, რათა როგორც საქართველოს და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის, ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შრომითს კოლექტივებს, ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებს შორის დიდოს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებანი შრომითი მეტოქეობის გეოგრაფიის მაქსიმალური გაფართოების მიზნით.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდება ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე წლის 10 თვის გეგმების შესრულების მიხედვით. გამარჯვებულნი დაჯილდოდებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი ნითელი დროშებით, დიპლომებით და ფულადი პრემიებით, რომლებიც დანესდა 1981 წლის 15 აპრილის დადგენილებით „მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ".

თავიანთი გარდამავალი დროშებისა და ფულადი პრემიების დანესების უფლება მიეცათ სამინისტროებსა და უწყებებს, დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს. შეჯიბრებაში გამარჯვებული ბრიგადების, უბნების, საამქროების, ფერმების, განყოფილებების კოლექტივები, აგრეთვე მუშები, კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, სხვა სპეციალისტები და მოსამსახურეები დაჯილდოვდებიან საპატიო ვიმპელებით, დიპლომებით, სამახსოვრო საჩუქრებით ან ფულადი პრემიებით.

ერთი სიტყვით, სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეთათვის როგორც მატერიალური, ისე მორალური წახალისების ფორმები ბევრია. ახლა მთავარია, ვინ დაეპატრონება მათ, ვინ ისახელებს თავს ამ ღირსეულ შრომის მეტოქეობაში.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას ორი გამორჩეული პირობაც აქვს. პირველი — შედეგები შეჯამდება მხოლოდ ერთმანეთთან შეჯიბრებაში ჩაბმულ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქს, ქალაქებს, რაიონებს, სამინისტროებსა და უწყებებს შორის; მეორე — გათვალისწინებული იქნება რეგიონებში სახელმწიფო, შრომის, ფინანსური, სანარმოო დისციპლინის, საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობა, შემცირების მიზნით გეგმების კორექტირების ფაქტები სამინისტროებსა და უწყებებში.

ახლა ამ დადგენილების ფართო გაცნობა-განმარტებასთან ერთად პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა ნარმართონ და კოორდინაცია გაუწიონ იმათ მეცადინეობას, ვისზეც არის დამოკიდებული სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობა, იბრძოლონ უმაქნისი აურზაურისა და ფორმალიზმის გამოვლინების ყოველი ფაქტის წინააღმდეგ.

უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის კარგი გამოცდილება შეიძინეს. იგი არსებობად გამდიდრდა შარშან, სსრ კავშირის შემნის 60 წლისთავის საიუბილეო წელს. და ეს გამოცდილება ახლა კიდევ უფრო უნარიანად უნდა გამოვიყენოთ, უფრო ფართოდ უნდა განვაზოგადოთ, საყოველთაო კუთვნილებად ვაქციოთ ჩვენი მოწინავე კოლექტივების ინიციატივები და თაოსნობანი, პრინციპული, მკაცრი შეფასება მივცეთ უგერგილო, უინიციატივო მუშაობის, საქმისადმი უპასუხისმგებელო დამოკიდებულების თითოეულ ფაქტს. ყოველივე ეს შენონილ-შეფარდებული უნდა იყოს მთავარ საზრუნავთან — შუაგული წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა სასახელო შესრულებასთან.

დიახ, ყოველ ზეიმს, ყოველ იუბილეს შრომის შედეგები ამშვენებს. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა საქართველო, სადაც დღეს ინიციატივიანი და შემოქმედებითი მუშაობის ხელშეწყობი ჯანსაღი ატმოსფერო სუფევს, დიადი ძმობის მანიფესტის 200 წლისთავს ახალი შრომითი და მორალურ-პოლიტიკური აღმავლობით შეეგებება, უფრო მეტი იქნება მისი წვლილი ხალხთა მეგობრობით შედუღაბებული ერთიანი დიდი ოჯახის კეთილ საქმეებში!

საქმეთ გამოაჩინა

საწარმოო გაერთიანება „საქქიმპრეპარატის" მეთაური ქარხნის აბების დასაფასოებელი საამქროს კოლექტივის წევრებს გადაწყვეტილი აქვთ მიმდინარე ხუთწლედი ოთხ წელიწადში შეასრულონ. როგორც საამქროს უფროსმა ლეილა კანანაძემ გვითხრა, ამჟამად ისინი 14 სახეობის პროდუქციას უშვებენ. მან მოწინავე დამფასოებლებს შორის დაგვისახელა სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი, შრომის დიდების ორდენოსანი, კომუნისტი ლალი სურგულაძე, შრომითი მამაცობის მედალოსანი იზოლდა ყიფშიძე, ნათელა ყიასაშვილი, ნინო უსტიონოვა, ელიკო გრიგალაშვილი და შრომის დიდების ორდენოსანი კლავდია დიმიტრენკო, ისინი ახლა 1985 წლის ანგარიშში შრომობენ და ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

მოწინავეთა შორის არის კომკავშირელი ლია ნიშნიანიძე, რომელიც კოლექტივში უკვე მეექვსე წელია შრომობს და ყოველდღიურად 130-140 პროცენტით ასრულებს სანარმოო გეგმას.

● ●

სურათზე: დამფასოებელი ლ. ნიშნიანიძე.

ვ. გენგიურის ფოტო.

საკარმიდამოს რეზერვების ასამოქმედებლად

ყოველ კომლს — თავისი სამეურნეო პასპორტი და სასურსათო პროგრამა!

ამ დევიზით იღვწიან აბაშელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისათვის

შარშანდელი წელი აბაშელმა მშრომელებმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს. რაიონში გადაჭარბებით შესრულდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების, კერძოდ, ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებები: გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 2600 ტონის ნაცვლად აწარმოვეს 3.008 ტონა ხორცი.

წლეულს კი აბაშელებს, რომლებიც თანამიმდევრულად ზრდიან თავიანთს წვლილს სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის საქმეში, რეზერვების შემდგომი ძიება-ამოქმედების გზით გადაწყვეტილი აქვთ აწარმოონ 3.500 ტონა საქონლისა და ღორის ხორცი.

ხოლო, როგორც პრაქტიკამ მრავალგზის დაგვარწმუნა, მდგომარეობის გაუჯობესების, ახალი წარმატებების მოპოვების ერთ-ერთი საუკეთესო რეზერვი და საშუალება მშრომელთა სასიკეთო თაოსნობები, საქმისადმი მათი მაღალი პასუხისმგებლური დამოკიდებულებაა. სიახლის გრძნობა და თაოსნობა კი აბაშელთათვის უცხო ხილი არ გახლავთ. სხვის ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რესპუბლიკაში პირველთა შორის ხომ სწორედ აქ დაინერგა საზოგადოებრივ მეურნეობებთან მოსახლეობის კოოპერირების პრაქტიკა, რამაც დადებითი ნაყოფიც გამოიღო (შარშან რაიონში მთლიანად წარმოებული ხორცის 54,8 პროცენტი კოოპერირების გზით არის მიღებული).

და აი, კიდევ ერთი სიახლე: ამჯერად ისინი მხარს უჭერენ გორის რაიონის ტყვიავისა და ახრისის კოლმეურნეობებს. პირველად იგი რაიონის ერთ-ერთ ყველაზე დიდ და ეკონომიკურად ძლიერ სოფელ ნორიოში დაიწყო. აქაურ ყოველ კომლს თავისი სამეურნეო პასპორტი აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველმა ოჯახმა იცის, რა რეზერვები გააჩნია სოფელს, მეკომურს იმისათვის, რომ გაადიდოს პროდუქტების წარმოება. სწორედ ამ მნიშვნელოვან საკითხს მიეძღვნა იქ გამართული სოფლის ყრილობა, რომლის მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს, რომ კომლის სამეურნეო პასპორტის საფუძველზე ხორცის წარმოებასა და სასურსათო პროგრამის განხორციელებაში თითოეული მეკომეურნის წვლილის გადიდების მიზნით ყოველმა ოჯახმა საკუთარი საკვებით აწარმოოს (კოოპერირების გარეშე) და სახელმწიფოს მიჰყიდოს სულ ცოტა 100-100 კილოგრამი ღორის ხორცი. კოოპერირების საფუძველზე კი კოლმეურნეობა ხელშეკრულების გაფორმებს მხოლოდ იმათთან, ვინც გაასუქებს სპ და მეტ სულ ღორს.

რა კეთდება რაიონში ამ სასარგებლო წამოწყების ხორცშესხმის იდეოლოგიური და ორგანიზატორული უზრუნველყოფისათვის, საერთოდ, სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის? — ეი, ამ კითხვაზე ვთხოვეთ ეპასუხა პარტიის აბაშის რაიკომის პირველ მდივანს რ. ღვინჯილიას.

— პარტიის რაიკომის ბიურომ, რაისაბჭოს აღმასკომმა, — გვითხრა მან, — ოპერატიულად განიხილეს ეს თაოსნობა, მოიწონეს იგი და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, პირველადს პარტორგანიზაციებს, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს ურჩიეს ფართოდ დაეჭირათ მხარი ამ სასარგებლო წამოწყებისათვის, ახალი რეზერვების ამოქმედებისათვის, ყოველი ღონე ეხმარათ ხორცის წარმოების გასადიდებლად, იმისათვის, რომ თითოეულმა კომლმა კოოპერირების გარეშე აწარმოოს და სახელმწიფოს მიჰყიდოს სულ ცოტა 100 კილოგრამი ხორცი.

რაინონის მშრომელები იწონებენ და მხარს უჭერენ ნორიოელთა თაოსნობას. ასე იყო, მაგალითად, დღემდე გამართულ ნაესაკოვოს, ქოლობნის, ძველი აბაშის, მარნის და სხვა სოფლების ყრილობებზე, საწარმო-დაწესებულებათა კრებებზე. პარტიის რაიკომი, რაისაბჭოს აღმასკომი, აგროსამრეწველო გაერთიანება, თავის მხრივ, ყოველ ღონეს ხმარობენ ამ თაოსნობის ხორცშესხმის იდეოლოგიურ-ორგანიზატორული უზრუნველყოფისათვის.

საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ ნორიოელთა ეს წამოწყება რაიონში სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის დღემდე გაწეული და იმჟამად მიმდინარე მუშაობის ერთგვარი ლოგიკური განგრძობაა. საქმე ის არის, რომ როდესაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დეტალურად ვსწავლობდით ადგილებზე არსებულ მდგომარეობას, ვაანალიზებდით საზოგადოებრივ მეურნეობათა შესაძლებლობებს, ვავლენდით რეზერვებს და ვადგენდით რაიონის სასურსათო პროგრამას, რომელიც შემდეგ რაიკომის პლენუმზე დავამტკიცეთ, შეეცადეთ აგრეთვე გულდასმით შეგვესწავლა თითოეული ოჯახის პირადი დამხმარე მეურნეობის, საკარმიდამო ნაკვეთების შესაძლებლობანი, განგვესაზღვრა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ზრდის მოცულობა მათი მაქსიმალური გამოყენების შემთხვევაში.

ეს კი საშუალებას მოგვცემდა უფრო ზუსტად განგვესაზღვრა, კიდევ რამდენი სახეობის და რა მოცულობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებს მივიღებდით დამატებით საზოგადოებრივ მეურნეობათა და მათთან კოოპერირებაში ჩაბმულ მშრომელთა მიერ მოწეული მოსავლის გარდა.

და აი, შარშან რაიონში ამ მიზნით შეიქმნა ხელშეკრულების სპეციალური ფორმა „ოჯახის სასურსათო პროგრამა". იგი თავდაპირველად ექსპერიმენტის წესით მხოლოდ სამ საზოგადოებრივ მეურნეობაში — ნორიოსა და ტყვიარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებსა და ზანათის საბჭოთა მეურნეობაში დავნერგეთ. „ოჯახის სასურსათო პროგრამა" ათი განყოფილებისაგან შედგება. მასში აღნიშნულია ოჯახის შემადგენლობა, საკარმიდამო ფართობის მოცულობა, იქ მოყვანილი კულტურები (სიმინდი, სოია, ბოსტნეული, ხეხილი, ციტრუსი, ვენახი და სხვა), მოსალოდნელი მოსავლიანობა, პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, მათი პროდუქტიულობა, ფურაჟის ოდენობა; ცალკე გრაფებში აღნიშნულია, თუ რამდენი სოფლის მეურნეობის პროდუქტი სჭირდება ოჯახს მოხმარებისათვის, რა მოცულობის ნამეტი პროდუქტები დარჩება და მათგან რამდენი მიეყიდება სახელმწიფოს.

როგორც ვხედავთ, ამ პროგრამაში, რომლის ერთი პირი ოჯახს რჩება, მეორე კი საზოგადოებრივ მეურნეობას ბარდება, საკმაოდ ზუსტად არის ასახული ყოველი კომლის შესაძლებლობანი, მათი საკარმიდამო ნაკვეთების, პირადი დამხმარე მეურნეობების გამოყენების კოეფიციენტიც. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტორიც: ჩვენ ასეთი პროგრამების შემუშავება-დანერგვით არა მარტო, თუ შეიძლება ითქვას, კონტროლზე გვაყავს აყენებული ყოველი ოჯახის შესაძლებლობები, სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის მათ მიერ გაწეული საქმიანობა, არამედ, უწინარესად, ვეხმარებით მათ იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს არა ჰყავს ძროხა, მაგალითად, ვაძლევთ გრძელვადიან სესხს მის შესაძენად, მიგდებული მიწების ხარჯზე გამოვუყოფთ საძოვრებს, ხელს ვუწყობთ მიწის დამუშავებაში, მინერალური სასუქების მომარაგებაში, ვეშველებთ სპეციალისტთა კონსულტაციით და სხვ.

შარშან, როგორც აღვნიშნე, „ოჯახის სასურსათო პროგრამა" მხოლოდ სამ საზოგადოებრივ მეურნეობაში იყო დანერგილი. წელს კი იგი მთელ რაიონს მოცავს, რაც საგრძნობლად გაზრდის ყოველი ოჯახის და, შესაბამისად, მთლიანად რაიონის წვლილსაც სასურსათო პროგრამის წარმატებით ხორცშესხმაში. სასურსათო პროგრამა ხომ საყოველთაო-სახალხო, თითოეულისა და ყველას საქმეა!

რ. რუსია,

„კომუნისტის" საკ. კორ.

ოფიციალურ ვიზიტად

21 მარტს მოსკოვიდან ბელგრადს ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ. ა. ალიევი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

მუშიდობისათვის მებრძოლს

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ურუგვაის კომენისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს როდნეი არისმენდის გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომელშიც გულითადად მიულოცა დაბადების 70 წლისთავი.

მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში დამსახურებისათვის, საბჭოთა კავშირისა და ურუგვაის ხალხთა შეგობრობის განმტკიცებაში დიდი წვლილისათვის და დამადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივმმა რ. არისმენდი ლენინის ორდენით დააჯილდოვა. (საკდესი).

ერაყის ერროვნული საბჭოს დელეგაცია საქართველოში

ზაბათს, 19 მარტს, თბილისში ჩამოვიდა ერაყის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს დელეგაცია. მისი თავმჯდომარის ნ. ჰადადის მეთაურობით. დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან ეროვნული საბჭოს გენერალური მდივანი ა. ალ-ჯანაბი, ეროვნული საბჭოს დეპუტატები ა. აბდულა, ტ. ალ-სამარმადი, მ. ამინ აჰმედი, ჰ. ჯობილ მაჰდი, ეროვნული საბჭოს კანცელარიის უფროსი მ. ალ-დულაიმი.

სსრ კავშირის, ერაყის რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით მორთულ თბილისის აეროდრომზე დელეგაციის დაბვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ი. აბაშიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ო. ქაჯაია, ნ. ნეფიდოვი, ო. გამყრელიძე, მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ხ. ზამბიტიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ჭიქინაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის მოადგილე ჰ. ჭიპაშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერმო-საკონსულო განყოფილების გამგე ნ. რუნაძე, სხვა ოფიციალური პირნი.

თბილისში დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმ-

(დასასრული მე-3 გვ.)

წესრიგს მოითხოვს მუშური სინდისი!

თუ პატრიოტი ხარ...

შეიქმნა „ჭიათურმანგანუმის" საწარმოო გაერთიანების პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშური ღირსების საბჭო. მის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები, პლენუმზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვიდან გამომდინარე მთითოებები და დასკვნები, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის ინიციატივა „სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან, ყველგან და ყველაფერში", რომელსაც ჭიათურელმა სამთოელებმა დაუჭირეს მხარი.

მუშური ღირსების საბჭოს ხელმძღვანელად მე ამიჩიეს. პირველი სხდომა ორკონიკძის სახელობის მაღაროს კოლექტივის საქმიანობას მიეძღვნა. ეს საწარმო წლების მანძილზე მოწინავეთა რიგებში იდგა. ორკონიკიძელები სახალხო მეურნეობას უგზავნიან უმაღლესი ხარისხის პეროქსიდულ კონცენტრატს, რომელზეც ძალიან დიდი მოთხოვნაა მეტალურგიულ და ქიმიურ მრეწველობაში.

ბოლო წლებში ბრიგადები დავთმეთ. ვამბობ დავთმეთ, იმიტომ, რომ მეც ამ მაღაროს კოლექტივის წევრი ვარ და მასთან ერთად მიხარია საწარმოს მიღწევა და მაღლვების მისი წარმატებლობა. შარშან ჩვენმა მაღაროთასამართველომ სახალხო მეურნეობას ათასობით ტონა მანგანუმის კონცენტრატი დააკლო. დამაფიქრებელია საწარმოს სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიც: გადახარჯულია 957 კუბური მეტრი სამაგრი ხე-ტყის მასალა, 677.500 კილოვატსაათი ელექტროენერგია, პროდუქციის თვითღირებულება შემცირების ნაცვლად 886.800 მანეთით გადიდდა. მატერიალური სტიმულირების ფონდის უჭონლობის გამო შემცირდა მუშის საშუალო გამომუშავება, თუმცა გადახარჯვამ ხელფასის ფონდში კოლოსალური თანხა — 237 ათასი მანეთი შეადგინა.

თქმაც მიჭირს და უთქმელოობაც. ჩვენი მაღაროთასამართველოს დირექტორი ვ. სამხარაძე საქვეყნოდ აღიარებული სამთოელია, იგი პირველ ქართველ სტაბანოველთა რიცხვს ეკუთვნის. მის სახელს ყოველთვის მოწიწებით იხსენიებენ. ძალიან ძნელია ასეთ ადამიანზე საყვედურის თქმა, მაგრამ მდგომარეობა მაიძულებს: ჩვენთან ერთობ მოეშვა საწარმოო, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინა.

№ 11 საწარმოო უბანი, სადაც მე მიხდება მუშაობა, ყოველთვის მოწინავეთა შორის იყო. ასე ვმუშაობდით გასული წლის მაისამდე, მაგრამ სამმართველოს დირექციამ წინასწარი ანალიზის გარეშე ჩვენგან ერთდროულად 30 წამყვანი პროფესიის მაღაროელი № 10 საწარმოო უბანში გადაიყვანა იმ ვარაუდით, რომ გეზარდა პეროქსიდული მადნის მოპოვება. ეს ჩანაფიქრი არ გამართლდა. მეთერთმეტე უბანი მუშახელით ვეღარ დააკომპლექტეს, ჩამორჩა, ხოლო მეათე უბანმა ძველებურად, არარიტმულად გაანაგრძო მადნის ამოღება, დავალება ვერ შესრულდა. ცხადია, ეს უარგილო ხელმძღვანელობის შედეგია.

საწარმოში იშვიათი როდია ტექნიკური და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის ფაქტები. ნაკლები ყურადღება ექცევა გამოლებული ნედლეულის პირველად გამდიდრებას. უშუალოდ სანგრევში, ზოგჯერ მამდიდრებელ ფაბრიკებს ეგზავნება ფუჭი ქანები, დიდი მოცულობის ლოდები. ეს იწვევს ავარიებს, დაბალია კონცენტრატის გამოსავლიანობის პროცენტი. შარშან მაღაროთასამართველოს პეროქსიდების მამდიდრებელი ფაბრიკ

სტატისტიკა გვაკვირდება, უდისციპლინობას ამხელს

შარშან რესპუბლიკის საწარმოთა დიდმა უმრავლესობამ რიტმულად იმუშავა, რითაც უზრუნველყო წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის სახელმწიფო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება. ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობა სახალხო მეურნეობაში დისციპლინის შემდგომმა განმტკიცებამ. ამასთან ბევრი საწარმოს მუშაობაში გასულ წელს კვლავ აღინიშნებოდა სერიოზული ნაკლოვანებანი, რომელთა მიზეზითაც სრულად ვერ იყო გამოყენებული წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუჯობესების შესაძლებლობანი.

ნაკლოვანებები, ჩვეულებრივ, იქ აქვთ, სადაც იჩენენ დაუდევრობას, უპასუხისმგებლობას, უწესრიგობაა შრომისა და წარმოების ორგანიზაციაში, დაბალია საშემსრულებლო დისციპლინა, შეფერხებებია მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში.

სტატისტიკური მონაცემები მოწმობს, რომ შარშან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობს ზოგვერთ დარგში, საწარმოსა და ორგანიზაციაში ჯერ კიდევ დაბალი იყო სახელმწიფო, უწინარესად შრომის დისციპლინა. კვლავ დიდია სამუშაო დროის დანაკარგები.

მართალია, მატერიალური წარმოების უპირველეს დარგში — მრეწველობაში სამუშაო დროის აბსოლუტური დანაკარგები ერთი წლის განმავლობაში 40 ათასი კაცდღით შემცირდა, მაგრამ ერთ მუშაზე გაანგარიშებით იგი კვლავ დიდია. გაცდენების მიზეზით გამოწვეული დანაკარგები 23,2 ათასი კაცდღით შემცირდა, მაგრამ მათი ხვედრითი წილი დანაკარგების მთლიან რაოდენობაში საკმაოდ მაღალია. წარმოებას დიდ ზარალს აყენებს სამუშაოზე გამოუცხადებლობა ადმინისტრაციის ნებართვით, ანუ უნელფასო შვებულებები. მათი ხვედრითი წილი დანაკარგების მთლიან რაოდენობაში ერთი წლის განმავლობაში თითქმის უცვლელი დარჩა. მთელდღიური გაცდენები გაიზარდა როგორც აბსოლუტურად, ასევე საშუალოდ ერთ მუშაზე გაანგარიშებით. უმნიშვნელოდ შემცირდა ცვლის შიგა გაცდენები.

ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების სისტემაში 1982 წელს არათუ გაუმჯობესდა შრომითი დისციპლინის მდგომარეობა, არამედ წინა წელს მიღწეულ შედეგებად შედარებით გაუარესდა კიდეც. რესპუბლიკის 35 სამინისტროდან და უწყებიდან, რომლებიც სამრეწველო საქმიანობას ეწევიან, 15-ში გაცდენებმა იმატა 8,9 ათასი კაცდღით, ხოლო 24 მათგანში სამუშაოზე გამოუცხადებლობა ადმინისტრაციის ნებართვით 26 ათასი კაცდღით გაიზარდა. ასეთი მდგომარეობა აღინიშნება დამზადების, ხილბოსტნეულის მეურნეობის, აგდილობრივი მრეწველობის, საბინაო კომუნალური მეურნეობის სამინისტროების, გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის, სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ და სხვათა სისტემებში.

დაბალია შრომის დისციპლინა ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოებში. აქ სამუშაო დროის დანაკარგებმა საშუალოდ ერთ მუშაზე გაანგარიშებით 4,4 კაცდღე შეადგინა, აქედან გაცდენების მიზეზით — 2 დღე. სამუშაო დროის მთლიან დანაკარგებში გაცდენების წილად მოდის 46 პროცენტი, რაც ექვსი პუნქტით აღემატება 1981 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ასევე დიდია სამუშაო დროის დანაკარგები დამზადების სამინისტროს (4,1 დღე საშუალოდ ერთ მუშაზე), მსუბუქი (3,6 დღე). მშენებლობის და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროების სამრეწველო საწარმოებში, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში მთელდღიური გაცდენები წლის განმავლობაში გაიზარდა 1,9-ჯერ, ცვლის შიგა გაცდენები — 1,8-ჯერ, თითქმის არ გაუჯობესებულა და კვლავინდებურად ძალზე დაბალია შრომის დისციპლინა გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანებაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში გაცდენების მიზეზით სამუშაო დროის მთლიან დანაკარგებში დასახელებული გაერთიანების წილად 26 პროცენტი მოდის.

გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ, თუ 1982 წელს სამუშაო დროის დანაკარგებს რესპუბლიკის მრეწველობაში მთლიანად განვიხილავთ მატერიალური დანაკარგების თვალსაზრისით, იგი ათობით მილიონი მანეთის მოცულობის სამრეწველო პროდუქციის ეკვივალენტური იქნება.

ნელა უმჯობესდება საანგარიშო დისციპლინა ზოგიერთ სამშენებლო ორგანიზაციაში. შარშან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე და დამხმარე წარმოებაში დასაქმებულ ერთ მუშაზე გაანგარიშებით სამუშაო დროის დანაკარგები თითქმის 1981 წლის დონეზე დარჩა, აბსოლუტური გამოსახულებით კი 2000 კაცდღითაც გაიზარდა.

საგრძნობლად გაუარესდა შრომის დისციპლინა ავტოტრანსპორტზე. აქ აბსოლუტური გამოსახულებით დანაკარგების საერთო სიდიდე შარშან წინა წელთან შედარებით 18,9 ათასი კაცდღით მეტი იყო, ხოლო საშუალოდ ერთ მძღოლზე გაანგარიშებით — 0,2 დღით. სამუშაო დროის გამოყენების მაჩვენებლები შესამჩნევად გაუარესდა სახსოფლტექნიკის და ცეკავშირის ავტოსატრანსპორტო საწარმოებში.

ცხადია სამუშაო დროის დანაკარგების შემცირების მიღწევა მეტად რთულია. იგი მოითხოვს მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას. თუ, მაგალითად, მსუბუქი, კვებისა და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროების სისტემებში სამუშაო დროის დანაკარგებს შევამცირებთ საშუალო დარგობრივ დონემდე, ეს თანაბარმნიშვნელოვანი იქნებოდა იმისა, რომ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში გამოგვვლინა 11 მილიონი მანეთის პროდუქციის მოცულობის ზრდის დამატებითი რეზერვები, კვების მრეწველობის სამინისტროში — 4, ხოლო საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროში — მილიონი მანეთის რეზერვები.

სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მთელ რიგ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ნაკლებ ქმედითუნარიანობას იჩენენ და ვერ ახერხებენ დიდ ორგანიზატორულ მუშაობას, ფორმალურად და არაკონკრეტულად მოქმედებენ სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველგვარი დარღვევების წინააღმდეგ. უფრო მეტიც, ზოგიერთი საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები იქამდეც კი მდიან, რომ სახელმწიფო სტატისტიკის ანგარიშებში უჩვენებენ ყალბ მონაცემებს და ქმნიან მოჩვენებითს სურათს, თითქოსდა გაუმჯობესებულიყოს შრომის დისციპლინა. ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში არ ხდება სამუშაო დროის დანაკარგების ზუსტი აღრიცხვა, ზოგი მათგანის სტატისტიკურ ანგარიშებში საერთოდ არ არის ასახული სამუშაო დროის დანაკარგების მონაცემები. მაგალითად, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ სპეციალურად ორგანიზებული დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხანაში მხოლოდ ერთ დღეს 1982 წლის 19 მაისს, ცვლის შიგა გაცდენებმა 1034 კაცსაათი შეადგინა. მაგრამ საწარმოს ანგარიშის მიხედვით, მთელი წლის განმავლობაშიც კი მსგავსი შემთხვევები თითქოს ქარხანაში საერთოდ არ მომხდარა. ანალოგიური სიყალბეა „საქელექტრომანქანის“, „ანალიზნელსაწყოს“ გაერთიანებების, ცხინვალის „ელექტროვიბრომანქანის“, ბათუმის ელექტრომექანიკური, რუსთავის ფოლად-თუჯსამსმელი, „სოხუმხელსაწყოს“, ხაშურის მექანიკური ქარხნების ანგარიშებში.

ზოგიერთი საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები ჯიუტად არ ასრულებენ მითითებებს საანგარიშო მონაცემების დამახინჯებათა აღკვეთის თაობაზე. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 სამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელობის ყურადღება გასული წლის აგვისტოში იმაზე გამახვილდა, რომ ტრესტის კრებსითს ანგარიშებში საერთოდ არ უჩვენებენ მთელდღიური გაცდენების მონაცემებს, მაშინ როდესაც ტრესტში შემავალ მხოლოდ ერთ სამშენებლო ორგანიზაციაში და ისიც მხოლოდ ერთი კვარტალის განმავლობაში აღნიშნული მიზეზით სამუშაო დროის დანაკარგებმა 7166 კაცდღე შეადგინა. ტრესტის ხელმძღვანელობამ დარღვევის აღსაკვეთად თითქოსდა განახორციელა საჭირო ღონისძიებანი, დაისაჯნენ აღრიცხვის დარგის შესაბამისი მუშაკები. მაგრამ, როგორც შემდგომში გამოირკვა, ყოველივე აღნიშნულმა მხოლოდ ფორმალური ხასიათი მიიღო, რადგან 1982 წლის შედეგებზე ტრესტის კრებსითს ანგარიშში კვლავ არ ასახულა მთელდღიური გაცდენების მონაცემები. ანალოგიურად მოიქცნენ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის № 2 სამშენებელო სამმართველოს, „საქკოლმშენის“ წყალტუბოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს, „საქკურორტმშენის“ ტრესტის წყალტუბოს სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს ხელმძღვანელები, რომლებმაც დაუშვეს სახელმწიფო ანგარიშებში გაცდენების შემთხვევათა რიცხვის ხელოვნური შემცირება.

ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში განაკვეთური სამუშაო დროის მნიშვნელოვანი დანაკარგების პარალელურად ხშირად მიმართავენ მუშაობა ზეგანაკვეთურ დროში მუშაობას, რაც არცთუ ისე იშვიათად აღემატება შრომის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს (120 საათი წელიწადში). მაგალითად, საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაგრის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოში 1982 წელს საშუალოდ ერთმა მძღოლმა ზეგანაკვეთურ დროში იმუშავა 644 საათი, სოხუმის № 1 ავტოსატრანსპორტო საწარმოში — 436 საათი, მშენებლობის სამინისტროს ჯორის № 5 რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხანაში — 166 საათი, ხილბოსტნეულის მეურნეობების სამინისტროს ახალციხის საკონსერვო ქარხანაში — 129 საათი და ა. შ.

შრომის დისციპლინის განმტკიცების დიდი შესაძლებლობებია შრომის ორგანიზაციის ბრიგადულ ფორმაში. პრაქტიკა ადასტურებს, რომ მუშობა ბრიგადულ კოლექტივში ხელს უწყობს თითოეული მუშაკის პროფესიულ დაოსტატებას, უზრუნველყოფს მათს მონაცვლეობას ცალკეულ სამუშაო უბანზე, ზრდის თითოეული მათგანის პასუხისმგებლობას მთლიანად კოლექტივის წინაშე და, საბოლოო ანგარიშით, მნიშვნელოვნად ამცირებს სამუშაო დროის დანაკარგებს. მიუხედავად აღნიშნულისა, ასეთი შესაძლებლობანი ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ნაკლებად გამოიყენება. 1982 წელს რესპუბლიკის მრეწველობაში კომპლექსურ ბრიგადებში დასაქმებული იყო მუშაკთა მხოლოდ 31 პროცენტი, ხოლო მშენებლობაში — 32. უფრო მეტი, რესპუბლიკაში საკმაოდ არის საწარმოები და ორგანიზაციები, სადაც ჯერ კიდევ საერთოდ არ შეუქმნია კომპლექსური ბრიგადები. მაგალითად, ხაშურის მინის, მარნეულის საკონსერვო, ცხინვალის ლუდის და სხვა ქარხნებში.

სახალხო მეურნეობაში მთლიანად შრომის დისციპლინის განმტკიცება და სამუშაო დროის დანაკარგების შემცირება ბევრად არის დამოკიდებული მოსახლეობის მომსახურების სფეროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის რეჟიმის გაუჯობესებაზე. აღნიშნულ საკითხებს რესპუბლიკაში სერიოზული ყურადღება ექცევა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაზეთ „პრავდის“ მიმდინარე წლის 11 იანვრის მოწინავეში კრიტიკულად შეფასდა და შშრომელებისათვის მნიშვნელოვანწილად არახელსაყრელად იქნა მიჩნეული საქართველოს სს რესპუბლიკაში მომსახურების სფეროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის არსებული რეჟიმი. იმისათვის, რომ დადგინდეს, რა არსებითი ცვლილებები მოხდა ამ საკითხზე დირექტიული ორგანოების სათანადო დადგენილების მიღების შემდეგ, საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ შესაბამისი ორგანოების დავალებით მიმართა სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს წარმოედგინათ ინფორმაცია ამ მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ. სამწუხაროდ, გვიხდება იმის კონსტატაცია, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ზოგიერთმა საქალაქო და რაიონულმა აღმასკომმა ინფორმაცია არ გამოგზავნა. ესენია ადიგენის, ბოლნისის, ვანის, გარდაბნის, გეგეჭკორის, ზესტაფონის, ყვარელის, სამტრედიისა და ზოგიერთი სხვა აღმასკომი.

საწარმოთა რიტმული მუშაობის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მისი მოცულობის ზრდის სტიმულირებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგეგმო დავალებათა სტაბილურობას. სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ გვიხდება ვილაპარაკოთ დაბალი საგეგმო დისციპლინის თაობაზე. საწარმოთა და ორგანიზაციათა ბევრი ხელმძღვანელი თავის მეცადინეობას უფრო მეტად წარმართავს იქითკენ, რომ როგორმე მიაღწიოს დამტკიცებული გეგმის შემცირებას, მიუახლოოს ან დაიყვანოს იგი წარმოების ფაქტობრივ მოცულობის დონემდე. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო გასული წლის დეკემბრის თვეში რესპუბლიკის 240-მდე სამრეწველო საწარმოს შუამცირდა წარმოების მოცულობის 1982 წლის გეგმა 195 მილიონ მანეთამდე საერთო თანხით. საგეგმო დავალებათა ასეთი კორექტირება რომ არა, მათი დიდი უმრავლესობა იმ საწარმოთა შორის აღმოჩნდებოდა, რომლებმაც გეგმა ვერ შეასრულეს. ხშირია ფაქტები, როდესაც საწარმოებს საგეგმო დავალებები უმცირდებათ იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც იგი აუცილებლობით არ არის გამოწვეული. ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატს შარშან დეკემბერში სასაქონლო პროდუქციის წლიური გეგმა 600 ათასი მანეთით შეუმცირდა. შემდგომში საწარმომ შემცირებული გეგმა შეასრულა 1,9 პროცენტის, ხოლო შემცირებამდე არსებული გეგმა — 0,7 პროცენტის გადაჭარბებით.

საგეგმო დისციპლინის დარღვევის გავრცელებულ ფორმად კვლავ რჩება ის, რომ საწარმოთა დიდი უმრავლესობა პროდუქციის საერთო მოცულობის გეგმების გადაჭარბებით შესრულების პირობებში ვერ უზრუნველყოფს ნომენკლატურის მიხედვით დავალებათა შესრულებას. ამის შედეგად შარშან რესპუბლიკის მრეწველობას დააკლდა 300 მილიონამდე მანეთის სამრეწველო პროდუქცია. ნომენკლატურის მიხედვით გეგმები ყველაზე დიდი მოცულობით ვერ სრულდება რუსთავის ქიმიურ (47,7 მილიონი მანეთი) და ქიმიური ბოჭკოს ქარხნებში (8,5 მილიონი მანეთი), ადგილობრივი მრეწველობის (23,7 მილიონი მანეთი), საშენ მასალათა მრეწველობის (10,2 მილიონი მანეთი) სამინისტროების სისტემაში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნომენკლატურის მიხედვით საგეგმო დავალებათა შეუსრულებლობა ავტომატურად იწვევს პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობას.

საწარმოებმა, რომლებმაც 1982 წელს ვერ უზრუნველყვეს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროდუქციის მიწოდება, სხვადასხვაგვარი სანქციებისა და ჯარიმების სახით გადაიხადეს 82 მილიონ მანეთზე მეტი!

რა თქმა უნდა, საწარმოს მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ფასდება, როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს დავალებების შესრულებას და მომხმარებელს ვერ აწვდის ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ პროდუქციას. ასეთ საწარმოებს წახალისება არ ეკუთვნით. მით უმეტეს, რომ „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილების შემდეგ წინა პლანზე წამოიწია სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევამ. ეს პირველადი რგოლების (საწარმო გაერთიანებების, სამრეწველო საწარმოების) დონეზე პროდუქციის მიწოდების გეგმების შესრულებასაც ნიშნავს. საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს „საქმონსერვმრეწვის“ გაერთიანების სისტემაში უგულებელყოფილია არსებული დებულება და ცალკეული საწარმოების ხელმძღვანელ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს პრემიებს აძლევენ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საწარმოები ვერ უზრუნველყოფენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. მარტო 1982 წლის განმავლობაში 22 საწარმოს ხელმძღვანელ მუშაკებს მიეცათ პრემიული წახალისება, მაშინ, როდესაც აღნიშნულ საწარმოებს რეალიზაციის გეგმა პროდუქციის მიწოდების ვალდებულებათა შესრულების გათვალისწინებით 3 და მეტი პროცენტით ჰქონდათ შეურულებელი.

ცნობილია, რომ წარმოების რიტმული მუშაობის უზრუნველყოფის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რკინიგზის ვაგონების თავისდროული მიწოდებას და დამუშავებას. ამ საქმეს ბევრ საწარმოში ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1982 წელს მარტო ვაგონების მოცდენისათვის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა ჯარიმების სახით 1,2 მილიონი მანეთი გადაიხადეს, ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს და სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ საწარმოებმა — 700-700 ათასი მანეთი.

მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, რესპუბლიკის ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა დაყენებული საანგარიშგებო დისციპლინა ანგარიშების დროულად წარმოდგენისა და ხარისხის თვალსაზრისით, რომ აღარაფერი ვთქვათ ანგარიშების დაგვიანებით წარმოდგენაზე. ზოგიერთი საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები, აღრიცხვის შესაბამისი დარგის მუშაკები ბევრ შემთხვევაში უპასუხისმგებლოდ და დაუდევრად ეკიდებიან სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ სახელმწიფო ანგარიშგების შედგენის საქმეს, ურიგდება მათში წამატებებისა და სხვადასხვა დამახინჯებათა ფაქტებს. არის შემთხვევები, როდესაც ცალკეული ორგანიზაციის ხელმძღვანელები დაუსაბუთებლად ითხოვენ შესწორებათა შეტანას უკვე წარმოდგენილ ანგარიშებში.

დღეს რესპუბლიკაში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის მდგომარეობა გვიკარნახებს, რომ აუცილებელია კიდევ უფრო გაფართოვდეს ბრძოლა წარმოების ყველა სფეროში, ყველა უბანზე სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე ითქვა, „საჭიროა უფრო მტკიცედ ვებრძოლოთ პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველგვარ დარღვევებს“.

რ. ბასარია,
საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი.

ᲙᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ—ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ

დავნერგოთ მუშაობის მოწინავე გამოცდილება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებების, „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად კუსტანაის ოლქის ფედოროვკის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზით“ პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნების განხორციელების ამოცანები რესპუბლიკის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეოთაშორისო გაერთიანებების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ზონალური თათბირ-სემინარის მონაწილეთა ყურადღების ცენტრშია. ისინი უკვე გაიმართა აფხაზეთში, აჭარაში, გორის რაიონში. 19 მარტს ანალოგიურმა თათბირ-სემინარებმა მუშაობა დაამთავრეს თბილისსა და გურჯაანის რაიონში, აქ კონკრეტული სკკპ-ბიასი იყო სოფლის. აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში პირველადი პარტორგანიზაციების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ.

* * *

სასურსათო პროგრამის რეალიზაციისადმი კომპლექსური მიდგომა ახასიათებს რესპუბლიკის ბევრი რაიონის მეურნეობათა პარტორგანიზაციების მუშაობას. მათი გამოცდილება გამოიყენეს გორის რაიონის სოფელ ტყვიავის ლადო კეცხოველის სახელობის, ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობებში. ამ კოლმეურნეობების პარტიულ კომიტეტებთან შექმნილია სასურსათო პროგრამის რეალიზაციის იდეოლოგიური უზრუნველყოფის, სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის, მოწინავე გამოცდილების შესწავლის, განზოგადებისა და დანერგვის, სოფლის მოსახლეობასთან საზოგადოებრივ მეურნეობათა კოოპერაციის გაფართოების სპეციალური ორგანიზაციებ მშრომელებში. სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს.

თათბირ-სემინარის დასკვნითი მეცადინეობა გაიმართა თბილისში.

თათბირ-სემინარი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ გ. დ. კოსოვსკიმ.

მომხსენებელმა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილემ ლ. ვ. მარშანიამ, სხვა ორატორებმა გააანალიზეს სოფლის მეურნეობის მართვის ანალ პირობებში მემცენარეობისა და მეცხოველეობის წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის მშრომელთა დასაზამავად პარტიული მუშაობის ფორმები და მეთოდები. აღნიშნეს, რომ ამ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს განმტკიცდეს პარტიული ფეხა მეურნეობებში, დასახეს სოფლად შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის დანერგვის დაჩქარების, სასურსათო პროგრამის წარმატებით რეალიზაციის გზებიდა შესაძლებლობანი.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ა. ი. სელეზნოვი.

(საქინფორმი).

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲣᲠᲘᲐ...

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე მადალი შეფასება დაიმსახურა ქუთაისის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში შექმნილმა ბალახის ფხვნილისა და ხორბლის ხინოტივის ხაზომმა ხელსაწყოებმა. ოცდაბუთი წლის მანძილზე აქ მიიღეს 130 საავტორო მოწმობა გამოგონებებისათვის, ხოლო საერთაშორისო და საკავშირო გამოფენებზე 60 მედალი და 10 დიპლომი მოიპოვეს.

სხვადასხვა სახის ხელსაწყოებს, რომლებიც ქუთაისელმა სპეციალისტებმა შექმნეს ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის, სერიოზულად უშვებენ მოსკოვის საწარმოო გაერთიანება „მანომეტრი“, თბილისის, ტალინის, ხარკოვის, კიროვაკანის, ლენინაკანის ხელსაწყოთა-შენებელი ქარხნები.

ამჟამად ბიურო მუშაობს იმისათვის, რომ შექმნას მყარი და ფხვიერი მასალების ხინოტივის ხაზომი ხელსაწყოები, პროდუქციის ხარისხის განსაზღვრისა და გარეშე მინარევების აღმომჩენი ხელსაწყოები, ავრეთვე სითხეების ოპტიკური ანალიზატორები და ა. შ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲔᲑᲘ: ინჟინერ-კონსტრუქტორი მანანა ჯიშკარიანი და პროექტის მთავარი კონსტრუქტორი ემილ შალამბერიძე მუშაობენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეკვეთით მინდვრის პირობებში ხორბლის ტენიანობის გასაზომი ხელსაწყოს შექმნაზე; ახალგაზრდა კონსტრუქტორები ირაკლი სვანიძე, ქეთევან მურმანიძე და ხერგი გორდიენკო მუშაობენ ხელოვნური კაუჩუკის სისქის საზომი ხელსაწყოს შექმნაზე.

გ. ᲒᲔᲠᲡᲐᲛᲘᲐᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სუსხიანი სტრიქონები

ოპერაცია „აგური“

გურამ ამბაკოს ძე ბიწაძე დაიბადა ჭიათურის რაიონის სოფელ სვენში. ცხოვრობდა ზესტაფონში, გახდა რკინიგზელი, მერე სამტრედიაში გადაინაცვლა, 1982 წლის თებერვალში დანიშნეს ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის ტრესტის სამტრედიის № 815 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მშენებლობის ოსტატად, თუმცა დაწყებითი სკოლის ოთხი კლასიც არ დაემთავრებინა. ინჟინერ-მშენებლის ადგილზე საშუალო სპეციალური განათლების მქონე მაინც ხომ უნდა ყოფილიყო. ერთი სიტყვით, კაცმა რომ თქვას, კადრების სწორად შერჩევა-განაწილებაზე აქ მეტად მწყრალად ყოფილან. კარგად არავინ იცის, მისი რა დამსახურება ჰქონდა მხედველობაში № 815 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსს შოთა მალაღურაძეს, როცა ბიწაძის დანიშვნის ბრძანებას მოაწერა ხელი.

ამის შემდეგ, ერთი შეხედვით, მცირეოდენი, მაგრამ საქმისათვის მნიშვნელოვანი კორექტივიც შეიტანეს მშენებლობის ხელმძღვანელებმა ბიწაძის თანამდებობაში — მომმარაგებლობა მიანდეს, თანაც აღჭურვეს ბეჭედდასმული მიხდობილობის სპეციალური ფურცლებით. აი, სად დაიმარხა ძაღლის თავი.

ერთხელ ბიწაძე დილაადრიან გამოცხადდა სამშენებლო ობიექტზე — სადგურ სამტრედიაზე, სადაც მიმდინარეობს თანამედროვე სტილისა და პროექტის მიხედვით გათვალისწინებული სადგურისა და სხვა სარკინიგზო დანიშნულებათა კომპლექსის მშენებლობა, რომელიც ათობით მილიონი მანეთი ჯდება. ეს მშენებლობა-გიგანტი 1980 წელს დაიწყეს: მშენებლობაზე ყოველდღიურად ასობით კაცი მუშაობს. ბიწაძემ გულმოდგინედ დაიარა მშენებლობის ყველა კუთხე-კუნჭული. საკუთარი თვალით ნახა აქა-იქ დახვავებული სამშენებლო მასალები და საფიქრალი გაუჩნდა — ხომ შეიძლება ამოდენა მშენებლობიდან მეც ვისარგებლოო. სწორედ ამ დროს გამოეცხადა მას წულუკიძის რაიონის ავტოსაწარმოო კანტორის მძღოლი ზურაბ ვალერიანის ძე ჩანკვეტაძე.

— უფროსო, — მორჩილად თავი დაუკრა მან ბიწაძეს, — ერთი საწყალი კაცი ვარ, ღარიბი და უსახლკარო...

—მერე მე გაგამდიდრებ? რა გიყო! ასე რომ მიცქერი, მარტოკა ხომ არ გგონივარ! სამი შვილის მამა ვარ, სამი შვილის, გესმის? — მომნუსხავად შეავლო თვალი ჩანკვეტაძეს და აგურით დატვირთულ მანქანას გადახედა.

— შე დალოცვილო, თოფი ხომ არ მისვრია შენთვის, დამაცა სათქმელი, ზოგჯერ თითო რეისი რომ წავიღო, ამით რა დააკლდება მშენებლობას! მე სახლს გავმართავ. შენ ფულს, მოგცემ. — შეაპარა ჩანკვეტაძეს.

— ცუდი აზრიც არ არის, მაგრამ საღღაც რომ გაეგონოს დანაშაულმა, ვინ არჩენს ჩემს ცოლ-შვილს? — გატყდა ბიწაძე.

— წმინდა ბერი — წმინდად წაწყდაო, ხომ გაგიგონია,— საცილით დასძინა მძღოლმა და დაარდაბნის, თეთრი წყაროს რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებათა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები.

სემინარის მონაწილენი იყვნენ ჯანდრის ნეკოველეობის საბჭოთა მეურნეობაში, კუმისის მებოცვრეობის კომპლექსში, არაბლოს მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობაში, სხვა მეურნეობებში, სადაც შეისწავლეს პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, მეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისათვის მუშაობის გამოცდილება.

პარტიის გარდაბნის, ბოლნისისა და მარნეულის რაიკომებში შეხვედრის დროს სემინარის მონაწილენი გაეცნენ ამ რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შესრულების მიმდინარეობას, იმას, თუ როგორ ახორციელებენ მშრომელები სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს.

თათბირ-სემინარის დასკვნითი მეცადინეობა გაიმართა თბილისში.

თათბირ-სემინარი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ გ. დ. კოსოვსკიმ.

მომხსენებელმა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილემ ლ. ვ. მარშანიამ, სხვა ორატორებმა გააანალიზეს სოფლის მეურნეობის მართვის ანალ პირობებში მემცენარეობისა და მეცხოველეობის წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის მშრომელთა დასაზამავად პარტიული მუშაობის ფორმები და მეთოდები. აღნიშნეს, რომ ამ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს განმტკიცდეს პარტიული ფეხა მეურნეობებში, დასახეს სოფლად შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის დანერგვის დაჩქარების, სასურსათო პროგრამის წარმატებით რეალიზაციის გზებიდა შესაძლებლობანი.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ა. ი. სელეზნოვი.

(საქინფორმი).

ᲐᲥ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲐᲠᲐᲕᲘ

21 მარტს

ყოველთვიური

ფაქტები
მოვლენები

საკლესიო
იუწყება

დღეს—გუშინდელი პურის შესახებ

ყოველი მესამე თბილისელი უკმაყოფილოა პურის ხარისხით, რომელიც ქალაქში ცხვება. მცხოვრებთა 43,9 პროცენტი ამის მიზეზად მიიჩნევს წარმოების ტექნოლოგიის დარღვევას.

ასეთია მონაცემები გამოკითხვისა, რომელიც მოაწყო რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროსთან არსებულმა საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელმა სამსახურმა. უნდა დავსძინოთ, რომ თბილისელთა 70 პროცენტი სხვადასხვა მიზეზის გამო გუშინდელ პურს არ ჭამს. რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის დაუგეგმავი საკვების დამზადების სამმართველო, რომელმაც ჯერ კიდევ მთლიანად ვერ „მოიგო“ საქართველოს დედაქალაქი, ყოველდღიურად მაინც აგროვებს ტონაზე მეტ პურის ნარჩენებს. ეს გაცილებით ნაკლებია, ვიდრე წინა წლებში, მაგრამ მეტისმეტად ბევრია, როცა საქმე პურს ეხება.

მაინც რა კავშირია პურის ხარისხსა, ვაჭრობის ორგანიზაციასა და ნარჩენების რაოდენობას შორის?

როგორ გამოიყურება ფუნი

პურს ჩვენს ქვეყანაში და, კერძოდ, საქართველოში პატივისცემით ეკიდებიან. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ქალაქელებმაც კი უფრო რაციონალურად დაიწყეს მისი გამოყენება, რაც გამოიხატა კვების ნარჩენებში პურის რაოდენობის შემცირებით. იქნებ გაუმჯობესდა პურის ხარისხი, იქნებ უფრო დიდხანს ინარჩუნებს სიახლეს? არა, ეს არ მომხდარა. ამასს ადასტურებს სავაჭრო ორგანიზაციების მიერ პურის დაბრუნების დიდი პროცენტი.

როგორი უნდა იყოს პური? დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში წერია: „კარგად გამომცხვარი, გლუვი ზედაპირის მქონე, დაუმსკდარი და დაუშაბავი, ქერქი არ უნდა ჰქონდეს არც დამწვარი, არც უფერული და არ უნდა სქვრებოდეს გულს. პური უნდა იყოს რბილი, თანაბრად ფოროვანი, არ ჰქონდეს მურკლები“.

ვნახოთ რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს საქონლისა და ვაჭრობის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს მონაცემები:

№ 2 პურის ქარხანა, 1982 წელი. შემოწმებული პროდუქციის 24,8 პროცენტი არასტანდარტული აღმოჩნდა. ნიშნები — წონანაკლებული, გადიდებული ტენიანობის, დახეთქილი, უფორმო.

საწარმოს ხელმძღვანელობამ ეს ახსნა იმით, რომ ქარხანაში რეკონსტრუქცია მიმდინარეობს წარმოების შეუწყვეტლად. მაგრამ რა გავლენა უნდა მოეხდინა რეკონსტრუქციას პურის წონაზე — ამის ახსნა ვერ შეძლეს.

პურის ქარხნის ხელმძღვანელობამ წამოაყენა კიდევ ერთი ვერსია — ფქვილის ცუდი ხარისხი. ფქვილის ხარისხი მართლაც გასაუმჯობესებელია. მაგრამ რატომღაც № 4 პურის ქარხნის პროდუქციაში თითქმის 19 ტონა შემოწმებული პურიდან, სახელმწიფო ინსპექციის მონაცემებით, წონის პროცენტი ნულს უდრის, ხოლო № 8 პურის ქარხანაში — დაახლოებით ერთ პროცენტს.

ამონაწერი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სადღეღამისო ცნობიდან: „...თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს სოციალისტური საკუთრების დაცვებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებისა და 26 კომისრის სახელობის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა დატაცების ფაქტზე წაასწრეს და დააკავეს № 7 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლ-ექსპედიტორი ბალხაზ ანდღოლაძე და № 2 პურის ქარხნის მწონავი ვახტანგ სირაძე, რომლებმაც ქარხნიდან მოიპარეს 225 მანეთისა და 60 კაპიკის 340 ცალი პური და ყალბი ზედნადებით ცდილობდნენ შეეტანათ იგი „თბილისპურვაჭრობის“ № 154 მაღაზიაში“.

ეს პური არსად არ იყო რეგისტრირებული. საიდან მოიტანეს? ერთი და იგივე რაოდენობის ფქვილისაგან მეტი პური რომ გამოაცხო, ამისათვის უნვად უნდა გამოიყენო წყალი. № 2 პურის ქარხანაში წყალი მდინარესავით მოსჩქეფდა. ეს დაადასტურა სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების ინსპექტორთა მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ.

ცუდ პურს უშვებენ ერთი და იგივე ქარხნები, პურის საცხობები, აღნიშნავენ რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს საქონლისა და ვაჭრობის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მთავარ სამმართველოში. ეს არის № 2, № 1, № 7, № 5 პურის ქარხნები, № 5 № 9 მექანიკური თონეები, № 6 პურის საცხობი, ნუსხა შეიძლება განვაგრძოთ.

სურათი რომ სრული იყოს მოგახსენებთ, რომ შარშან ნახევარ მილიონ კილოგრამზე მეტი უხარისხო პური „თბილისპურვაჭრობის“ მაღაზიებმა დაუბრუნეს თბილისის პურის საცხობ საწარმოებს. ეს ხომ მილიონინაირი ქალაქის დღიური ნორმაა!

ზუსტი გრაფიკით

უკანასკნელ წლებში თითქმის მთლიანად განახლდა „თბილისპურის“ საწარმოებისა და გაერთიანების ხელმძღვანელობა. მათ მიერ გაწეული მუშაობა — ახალი ტექნოლოგიური ხაზების დანერგვა, რეგულიანობის ძიება, პურის საცხობი მრეწველობის მართვის შემუშავებული და დანერგილი ავტომატიზებული სისტემა ოპტიმიზს გვნერგავს. მაგრამ... იმისათვის, რომ თბილისელები „ვადამდე“ არ ყრიდნენ გამხმარ პურს, კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ ვაჭრობის მუშაკებმაც.

სპეციალისტს რომ ჰკითხოთ რომელი დოკუმენტია ძირითადი პურის შემოტანის გრაფიკის დასაცავად, გიპასუხებთ, განაცხადიო. და რა თქმა უნდა, მართალი იქნება. კოლექტივები შეაქვს პურის მაღაზიებისა და საწარმოების ერთობლივი საქმიანობის პრაქტიკაში.

ხვალისათვის პურის შეტანის გრაფიკი რაოდენობის, ასორტიმენტისა და დროის მიხედვით მტკიცდება დღეს დილით და ზუსტდება საღამოთი. მაგრამ შარშან თბილისში ყოველდღიურად საშუალოდ აღირიცხებოდა ასეთი გრაფიკების 16 დარღვევა. ყოველივე ეს იმის მიზეზია, რომ საღამოს, როცა ხალხი სამუშაოდან ბრუნდება, პურის მაღაზიებში ხშირად თაროები ცარიელია, ან ძველი, გამხმარი პური ალაგია.

თბილისში პურის კონუნქტურის გათვალისწინება ძნელია. ქალაქში პურს აცხობენ არა მარტო „თბილისპური“, არამედ ეკავშირის პურის საცხობებიც, ამიერკავკასიის რკინიგზის თონეებიც, პური იყიდება არა მარტო „თბილისპურვაჭრობის“ სპეციალიზებულ მაღაზიებში, არამედ რაიკვებვაჭრობის გასტრონომების სექციებშიც. ამ ვეებერთელა, სხვადასხვა უწყებას დაქვემდებარებული სისტემის ერთმა რგოლმაც რომ დაარღვიოს მუშაობის გრაფიკი, ქალაქის ამა თუ იმ მიკრორაიონში პურს ან ზედმეტად შეზიდავენ ან მისი დეფიციტი იქნება.

გამოცდილების მისამართია ქუთაისი

სხვა საქირო საგნებთან ერთად ქუთაისიდან ჩამოსულებს თბილისში პურიც ჩამოაქვთ. ეს არის ქუთაისური პური, რომლის შესახებ უკვე არაერთგზის დაწერილა.

1982 წელს მუშაობის შედეგების მიხედვით გამოთიანება „ქუთაისპური“ დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წოვილი დროშით, იგი შეტანილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო დაფაზე სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

—გემრიელი პურის ცხობის ტრადიციები ჩვენში დიდი ხანია არსებობს.—თქვა „ქუთაისპურის“ გენერალურმა დირექტორმა ზ. მელქაძემ. — ამ ტრადიციებს ქუთაისელი ხაბაზების ბევრი თაობა ქმნიდა. ამან ჯეროვანი ნაყოფიც გამოიღო: ქუთაისელებს პური მოსწონთ. როგორ მივაღწიეთ ამას? დღეს ქალაქის ყველა პურის საწარმო დასპეციალებულია გარკვეული ასორტიმენტის პროდუქციაზე. ეს ნიშნავს: ქარხანა იღებს მხოლოდ ერთი ხარისხის ფქვილს, აცხობს მხოლოდ ერთი ხარისხის პურს. მუშაობის ასეთი ორგანიზაცია საშუალებას გვაძლევს ოპერატიულად შევცვალოთ ტექნოლოგიური პროცესები უხარისხო ნედლეულის მიღების შემთხვევაში, ავამაღლოთ პურის ცხობის ხარისხი.

ვისაც უნახავს ქუთაისის პურის მაღაზიები, დაადასტურებს: პური იქ ყოველთვის ახალია, ზოგჯერ კი ცხელიც. როგორ აღწევენ ამას? დღეში პურის 7-8-ჯერ შემოტანა მაღაზიისათვის ნორმაა. საათში ერთხელ მაღაზიასთან დგებიან სხვადასხვა ქარხნიდან და პურის საცხობიდან მოსული ცხელ-ცხელი პურით დატვირთული მანქანები.

ამბობენ, რაც უფრო პატარაა ქალაქი, მით უფრო ნაკლები პრობლემებიაო. ეს სწორია, მაგრამ ის რომ ხაბაზის პროფესიას, პურის ქარხნების საქმიანობასა და პურის ვაჭრობის ორგანიზაციას ქუთაისში განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ზრუნვით ეკიდებიან, — ეს ფაქტია.

დავუბრუნდეთ თბილისს. ჩვენ ტყუილად როდი ვახსენეთ მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომელიც ინერგება საქართველოს დედაქალაქის პურის საცხობ საწარმოებში. მართლაც, იგი აუცილებელია. მაგრამ განა ეს სისტემა არ უნდა მოიცავდეს სავაჭრო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც ვალდებული არიან იზრუნონ იმისათვის, რომ თბილისელთა სუფრაზე ყოველთვის ახალი და გემრიელი პური იყოს? მართვის ავტომატიზებული სისტემა მხოლოდ ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნა ხომ არ არის, არამედ ეკონომიკის, წარმოების, ვაჭრობის, მოხმარების ორგანიზაციის ერთიანი კომპლექსია. თორემ კვლავინდებურად ნარჩენების სახით დაიკარგება ასობით ტონა მარცვლეული, მხვნელ-მთესველთა შრომა, სახელმწიფო სახსრები, ერთი სიტყვით, ჩვენი დოვლათი.

ბ. გაზაევი,
ვ. მასხულია,
საქინფორმის კორ.

ხვალ ჯარისკაცები გახდებიან

საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის მუშაები შეუდგნენ ექსპონატების შეგროვების ახალი მუზეუმისათვის, რომელიც სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მშენებარე კომპლექსის შემადგენელი ნაწილი გახდება. საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსს, პოლკოვნიკ **რ. ნიორაძეს**, გაეცნო ეს კომპლექსი და რამდენიმე სიტყვა ეთქვა საქართველოს სამხედრო კომისარიატების ისტორიის მუზეუმის შესახებ.

— უკვე მეორე წელია შენდება რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის შესაკრები პუნქტის კომპლექსი, — თქვა პოლიტგანყოფილების უფროსმა — სანამ მშენებლობას შეუდგებოდით, გავეცანით ქვეყნის საუკეთესო შესაკრებ პუნქტებს. შემდეგ დავაპროექტეთ კომპლექსი, რომელიც შეიცავს ყოველივე საჭიროს საბჭოთა არმიაში სამსახურისათვის ჭაბუკთა მომზადების, მათი გაცილების საზეიმოდ მოწყობის, მასწავლებლებისა და პროპაგანდისტთა კადრების სწავლებისათვის.

—რამდენიმე სიტყვით გაგვაცანით მუზეუმი...

— რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატების ისტორიის მუზეუმი ჩაფიქრებულია როგორც კომპლექსის მთავარი რგოლი, მისთვის გამოყოფილია ცალკე შენობა. ექსპონატებით დამთავალიერებლები გაეცნობიან პარტიის საქალაქო კომიტეტებთან და რაიკომებთან 1923 წელს შექმნილ სამხედრო განყოფილებებს, რომლებიც 1939 წელს სამხედრო კომისარიატებად გარდაიქმნა. ძირითადი განყოფილება მიეძღვნება დიდ სამამულო ომს. ამისათვის უკვე მრავალი დოკუმენტია შეგროვილი. ერთერთ მათგანში მოთხრობილია კასპის რაიონის სამხედრო კომისრის გ. ჩხარტიშვილის ამბავი, რომელმაც ომის დაწყებინ მეათე დღეს დაამთავრა მობილიზაცია და თავის შვილთან ნოდართან ერთად წავიდა ფრონტზე, მამაცურად ებრძოდა მტერს და გმირულად დაიღუპა ბრძოლის ველზე. მისი შვილი კი ომიდან დაბრუნების შემდეგ დიდხანს მუშაობდა ასპინძის რაიონის სამხედრო კომისრად.

ამგვარი ფაქტები, რომლებიც მოწმობს სამხედრო კომისარიატების მუშაკთა მხედრულ შემართებას, მათ მაღალ მოქალაქეობრივ აქტიურობას, სამშობლოს ერთგულებაა, მრავალია. მათ შესახებ საუბარი იქნება ქვეყნის შეიარაღებული ძალების განვითარების ისტორიის ფონზე. მუზეუმის შესავსებად საჭიროა ჩვენი სახელმწიფო წინაპრების დოკუმენტები, პირადი ნივთები, სახელობითი იარაღი, ფოტოსურათები, ამიტომ საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის სარდლობა, პოლიტიკური განყოფილება დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ვეტერანებს, სამხედრო კომისარიატების ყოფილ მუშაკებს სთხოვს გამოგვიგზავნონ ომისდროინდელი წერილები, მოგონებანი, ფოტოსურათები, სპბრძოლო ჯილდოები რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატების ისტორიის მუზეუმის ფონდისათვის. კორესპონდენციები და ბანდეროლები გთხოვთ გამოგზავნოთ მისამართით: 380008, ქალაქი თბილისი, ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილება.

დღეს — 21 მარტი

ყოველთვიური

ფაქტები
მოვლენები

საკლესიო
იუწყება

სოციალისტურ ქვეყნებში

● კუბა

მუშრომელთა საკეთილდღეოდ

ჰავანა. კუბის 1983 წლის ეროვნულ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ასიგნებათა მნიშვნელოვანი ზრდა სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების განსახორციელებლად, განუცხადა ეროვნალიტებს რესპუბლიკის ფინანსთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ფრანსისკო გარსია ვალმა.

მომდინარე წელს 6 პროცენტით გაიზრდება სამინაო მშენებლობის და რემონტის ფონდები. განათლებასა და ჯანმთელობის დაცვას მოხმარდება საშუალოდ 3 პროცენტით მეტი, ხოლო მეცნიერებას, კულტურასა და სპორტს — 2 პროცენტით მეტი თანხები.

მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს დადებითი ძვრები მიღწეულია იმ პირობებში, როცა დასავლეთ ნახევარსფეროში პირველ სოციალისტურ ქვეყანას უხდება სიძნელეების დაძლევა, რომლებიც გამოწვეულია შაქარზე — ქვეყნის ძირითად საექსპორტო პროდუქტზე — მსოფლიო ფასების დაცემით, საპროცენტო განაკვეთების ზრდით, ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ ეკონომიკური ბლოკადით.

● ჩეხოსლოვაკია

ავიატორები — სოფელს

პრაღა. ამჟამად ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში თვითმფრინავების მეშვეობით არა მარტო აფრქვევენ მინერალურ სასუქებს, არამედ ებრძვიან კიდევ მცენარეთა მავნებლებს, ახორციელებენ ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის ღონისძიებებს. სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ საოფლო-სამეურნეო ავიაციის გამოყენებით კომპლექსური სამუშაოები უზრუნველყოფს ჰექტარობრივი მოსავლიანობის დაახლოებით ორი ცენტნერით ზრდას.

„სლოვაიონის“ — ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო ავიაციის მუშაკები სოფლის მშრომელებს ქვეყნის ყველა რაიონში ეხმარებიან. მათ განკარგულებაშია ჩეხოსლოვაკიის წარმოების თვითმფრინავები, რომლებსაც აქ „კელს“ უწოდებენ, „ან-2“ ტიპის, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-პოლონეთის წარმოების „მ-15“ მაღალმწარმოებლური რეაქტიული თვითმფრინავები. სულ უფრო ფართოდ იყენებენ „მი-2“ საბჭოთა ვერტმფრინავებს.

● იუგოსლავია

მეცნიერთა თანამშრომლობა

ბელგრადი. საბჭოთა და იუგოსლავი მეცნიერები ერთობლივი თანამშრომლობით ქმნიან მესამე თაობის სამრეწველო რობოტებს. ვარაუდობენ, რომ მანქანებს ექნებათ ელექტრონული „ტვინი“, შეძლებენ „დანახვას“ და „შეგრძნებას“.

მომდინარე წლის დამდეგს ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად, ასეთი რობოტების დამუშავება რობოტების ტექნიკის დარგში ორი ქვეყნის სპეციალისტთა თანამშრომლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელსაც დიდი ხნის ტრადიცია აქვს.

ისინი ასზე მეტ პრობლემას ამუშავებენ სხვადასხვა დარგში. ერთიანი ძალებით არის შექმნილი პროგრამული მართვის ლითონსაჭრელი ჩარხების ახალი მოდელები, გამომთვლელი კომპლექსი, რომელიც გამოიყენება ენერგეტიკაში, ქიმიაში, კავშირგაბმულობაში, ბიოლოგიასა და მედიცინაში. მეცნიერები აქტიურად თანამშრომლობენ აგრეთვე ატომური ფიზიკის, ასტრონომიისა და გეოლოგიის დარგებში.

ახლო აღმოსავლეთი

ვითარება კვლავ დაძაბულია

ბეირუთი. ლიბანის ბექაას ველის რაიონში კვლავ დაძაბული ვითარებაა. ისრაელის ჯარებს გადაეკეთ საბრძოლო ტექნიკა, მათ შორის ტანკები — „მერკავა“ და „სენტურიონი“. თვითმხილველთა თქმით ოკუპანტების მესანგრეთა ნაწილებმა, რომლებიც ღამ-ღამობით მუშაობენ, ახალი გზა გაიყვანეს ლიბანის ელ-ბირსა და კამდე ელ-ლოზის დასახლებულ პუნქტებს შორის.

ოკუპირებული ქვეყნის სამხრეთში ინტერვენტებმა მოაწყვეს საბრძოლო წვრთნა, სადაც გამოიყენეს ტანკები, არტილერია და ავიაცია. თვითმფრინავები ვარჯიშობდნენ სახმელეთო სამიზნეების დაბომბვაში, საარტილერიო და სატანკო ქვემეხები კი საბრძოლო ყუმბარებს ისროდნენ. ისრაელის თვითმფრინავებმა რამდენჯერმე შემოუფრინეს ბეირუთს.

ოკუპირებულ რაიონებში დამსჯელები განაგრძობენ ადგილობრივ მცხოვრებთა წინააღმდეგ ტერორის კამპანიას. სამხრეთ ლიბანის სოფელ ჯიზშითში ჯარისკაცებმა ალყა შემოარტყეს გლეხთა სახლებს და დაანატომრეს მშვიდობიანი მცხოვრებნი. მათ ბრალად წაუყენეს „ძირგამომთხრელი საქმიანობა“. სინამდვილეში დაპატიმრებულთა „ბრალი“ ის იყო, რომ უარი თქვეს ოკუპანტებთან თანამშრომლობაზე. რეპრესიების პასუხად მთელ რიგ ახლომდებარე სოფლებში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაციები.

არ წყდება ლიბანელ პატრიოტთა შეიარაღებული წინააღმდეგობა. ქალაქ ბაჰ

მრავალსახეობა მსახიობისა

დღევანდელი ნომრის სტუმარი

სევდა ახლავს ამ წერილის დასაწყისს, სევდა და ნაღველი— ძნელად გასაყუჩებელი: ეროსი გავიხსენეთ, ჩვენი ეროსი, ბოლო როლზე საუბარმა გაგვახსენა. — ეს როლი, მთავარი როლი კინომსახიობის თეატრის სპექტაკლში „ჩვენი პატარა ქალაქი“ მე კი არა, ეროსის უნდა ეთამაშა, თვითონ შეარჩია პიესა და რეზო გაბრიაძეს სთხოვა ქართულად ეთარგმნა. შეუსრულა დრამატურგმა თხოვნა, მაგრამ ვაი, რომ აღარ დასცალდა... სინანულით ამბობს ჩემი მასპინძელი.

მერე მაინც დადგამს რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი ამ პიესას, ეროსი მანჯგალაძის ხსოვნას მიუძღვნის და გიორგი გეგეჭკორს მიიწვევს იმ როლზე, რომლის თამაში ასე ეწადა მათ განუყოფელ მეგობარსა და თანამოაზრეს.

ამ სპექტაკლის პრემიერით აღნიშნა კინომსახიობის თეატრის კოლექტივმა ეროსი მანჯგალაძის გარდაცვალების პირველი წლისთავი. და უნებურად პრემიერა გიორგი გეგეჭკორის დაბადების სამოც წლისთავსაც დაემთხვა.

...დამთავრდა სპექტაკლი, ქეშმარიტ ხელოვნებას ნაზიარები მაყურებელი წავიდ-წამოვიდა. ხოლო კულისებში, კიდევ ერთი წარმატებით ფრთაშესხმული ახალგაზრდობა ჭიქა შამპანურით ლოცავდა თავის დიდ ოსტატს მიხეილ თუმანიშვილს, ეროსი მანჯგალაძის ნათელ სახელს, და სამოცი წლის მსახიობს, რომელიც მათ შორის ადრე წასული მეგობრის გრიმ-კოსტიუმით იდგა...

* * *

მუშვენიერ ფერტილოთა მნახველი უმალ დარწმუნდება, რომ გეგეჭკორების ოჯახში თეატრალური ხელოვნების გარდა დიდ პატივს სცემენ სახვით ხელოვნებას. კედლებიდან ბევრი ცნობილი ქართველი მხატვრის ნამუშევარი მოგტაცებთ თვალს.

— ამათში ზოგი ჩვენი უმაწვილისაა — გიორგი-უმცროსის... ამ, მამამისი გლოსტერის როლში... სულ რამდენიმე მონასმით გააკეთა... სამხატვრო აკადემიის სტუდენტია, უჩა ჯაფარიძის მოწაფე...

— კარგი! ზოგიც მერე, ნათელა...

ნათელა გიორგი გეგეჭკორის მეუღლე, ცნობილი თეატრმცოდნე, პროფესორი ნათელა ურუშაძე გახლავთ. იგი, როგორც დრამატურგები იტყვიან, ერთ-ორჯერ შემოვა ხოლმე ჩვენს დიალოგში, თორემ, ისე, მეორე ოთახში იფუსფუსებს და ცალი ყურით მოისმენს ეუბილარი მეუღლისა და ჟურნალისტის საუბარს.

...გარეგნობით, უზადო მეტყველებით, თამაშის ნატიფი მანერით, რესპუბლიკის სახალხო არტისტი გიორგი გეგეჭკორი ჩემთვის დღემდე რჩება კულტურული, ინტელიგენტური, გნებავთ, ელეგანტური მსახიობის ნიმუშად. აბა, ერთი წამით გონების თვალი გაადევნეთ მის მიერ შესრულებული უამრავი როლებიდან ზოგიერთს?.. მე მგონი, აუცილებლად უნდა დავსძინოთ კიდევ ერთიც — დიდი პროფესიონალი.

— თქვენ როგორ განსაზღვრავდით, ბატონო გიორგი, ამ ცნებას? — „მსახიობი — პროფესიონალი“.

— პროფესიონალი ი რომ მარტო დიპლომიანს არ ნიშნავს, ეს ფაქტია. პროფესიონალია, ალბათ, ის, ვინც დილიდან ნაშუადღევამდე კინოკამერის წინ ქმნის რომელიმე სახეს, შემდეგ დროც აღარ რჩება დასასვენებლად და საღამოს თეატრის სცენაზე სრულიად სხვა როლს თამაშობს. თანაც, მთელი ენერგიით, რადგან მაყურებლის პატივისცემაც პროფესიონალიზმია. პროფესიონალიზმია აგრეთვე ის, რომ თეატრმა, მსახიობებმა სიცოცხლის ხანგრძლივობა შეუნარჩუნონ ამა თუ იმ წარმოდგენას. მაგალითად, „სამანიშვილის დედინაცვალი“ ათი წლის წინათ დაიდგა და დღესაც რეპერტუარშია...

მწერალ სერგო კლდიაშვილს საუბრიდან:

„გეგეჭკორის გამოსვლა კამერტონივით არის და შესანიშნავია... მოხიბლული ვარ გოგი გეგეჭკორით... დავით კლდიაშვილი ნამდვილად გიხსრებდა, რომ მოესმინა მისი სიტყვა და დაენახა თავისი პერსონაჟები... ეს არის ნამდვილი კლდიაშვილი. ეს იყო საოცარი სევდანარევი იუმორი. ეს იყო ის, რისთვისაც წერდა დავითი“.

— რუსთაველის თეატრში სპექტაკლის სიცოცხლის ხანგრძლივობის მაგალითები სხვებიც გვაქვს... აი, „ბარათაშვილიც“ ხომ ათი წელიწადი გადიოდა...

— კი, ასე იყო... ბარათაშვილის სახე ჩემთვის ყოველთვის გამორჩეული იქნება იმ ოთხმოცზე მეტი როლიდან, რომლებიც რუსთაველის თეატრის სცენაზე ვითამაშე. უბედნიერესი დრო იყო, ოცდაექვსი წლისა ვიყავი (სწორედ ამ ხნისა გარდაიცვალა ბარათაშვილი), უკვე მქონდა თეატრში რიგდაღნიმე როლი ნათამაშევი, მაგრამ ბარათაშვილი? ამ ტრაგიკული პოეტის ბედი რომელ ხელოვანს არ შეძრავს. ჰოდა, ახლად ფეხადგმული მსახიობი, მით უმეტეს, დიდი გამოცდის წინაშე დგება. და თუ დღეს მიაჩნიათ, რომ გამოცდა წარმატებით ჩავაბარე, ამაში მიზეილ მრეველიშვილის პიესის და დამდგმელი რეჟისორის დიმიტრი ალექსიძის დამსახურებაც არის.

— დიმიტრი ალექსიძე თქვენი პედაგოგი იყო, არა?

— დიახ. მე დიდი მადლობელი ვარ ქართული თეატრალური ხელოვნების ამ შესანიშნავი მოღვაწისა. ინსტიტუტში ბედნიერება მქონდა აგრეთვე შევხვედროდა გიორგი ტოვსტონოგოვს — არაჩვეულებრივ პედაგოგსა და რეჟისორს. ამ ორმა პიროვნებამ ბნის დასაწყისშივე განსაზღვრა ჩემი თაობის მსახიობთა მრწამსი, სტილი, მსოფლმხედველობა...

— თქვენი თაობა არა მარტო თეატრში, არამედ საერთოდ გამორჩეულია და, შეიძლება ითქვას, დასაყრდენია დღევანდელი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნებისა...

— ეტყობა, დრომ, ხალხის, ქვეყნის გასაჭირმა განაპირობა ყოველივე. ჩემი თაობა და ჩვენზე ოდნავ უფროსები, სამშობლოს გადასარჩენად იბრძოდნენ სამამულო ომის ფრონტებზე. და ჩვენ, შინ დარჩენილებს ყოველდღიური საგმირო ამბებით გვასწავლიდნენ თავგანწირვას. იქ, უთანასწორო ბრძოლებში დაღუპული ახლობელი თუ მეგობარი, თითქოს გვიბარებდა თანატოლებს, რომ ნაჭი და შრომა არ დაგვეზოგა სამშობლოს სასახელოდ. და ჩვენც, ასე მოვდიოდით და მივდივართ. თანატოლების, ანდა წინაპრების სახელი და საქმე აუგად და ჰაიჰარად არასდროს მოგვიხსენებია.

— იმ დროს სახელი ფასობდა ყველაზე მეტად! — შემოდის და მეუღლის ნაუბარს „ამაგრებს“ ქალბატონი ნათელა. — ერთმანეთი გვაინტერესებდა და ამან შექმნა კიდეც ქართული ფსიქოლოგიური, ანსამბლური თეატრი.

— და იცით, რა მომეწონა კინომსახიობის თეატრში? — გაიგაჩერებს გიორგი გეგეჭკორი,— მე იქ დავინახე თანამოაზრეების ჯგუფი, რომლებიც ცდილობენ დიდ ტრადიციებზე დაყრდნობით შექმნან ახალი და უჩვეულო..

— ამას, თუ არ ვცდები, სხვაგანაც ცდილობენ.

— მეტ-ნაკლებად. ჩვენ გვყავს შესანიშნავი რეჟისორების მთელი ჯგუფი რობერტ სტურუას, თემურ ჩხეიძის, გოგი ქავთარაძის, იური კაკულიას, მედეა კუპუხიძის, ნანა ხატისკაცის და სხვათა სახით, მაგრამ უმრავლესობა ცდილობს თავისი რეჟისორული ხელწერა მოახვიოს თავს პიესის ავტორს. არ შეიძლება ერთი გასაღებით გავხსნათ ბრეჰტის, შექსპირის, ანდა, გნებავთ, თამაზ ჭილაძის დრამატურგია...

— ბატონო გიორგი, თქვენ წელან ბრძანეთ, რომ ოთხმოცზე მეტი როლი გითამაშიათ რუსთაველის თეატრის სცენაზე. ახლა, კინოფილმებსაც თუ მივთვლით...

— ამ დღეებში დავაზუსტე, თქვენმა კოლეგებმა დამაზუსტებინეს, კინოში ორმოცამდე როლი გამოვიდა...

— მე ვიცი, რომ თქვენ ერთ-ერთი „დატვირთული“ მსახიობი ხართ, თუმცა, ამ ხნის მანძილზე, მაინც გექნებოდათ გამორჩეული როლები?

— მართალი ბრძანდებით, სამუშაო არასოდეს მაკლდა, ბედმა გამიღიმა და ბევრჯერ შემახვედრა როგორც უცხოურ კლასიკურ დრამატურგიას, ასევე ილია ჭავჭავაძის, დავით კლდიაშვილის გმირებს, საბჭოთა ავტორებს... რა თქმა უნდა, ყველა როლს ერთნაირად ვერ მოიერგებ. და ისეთი შემთხვევებიც ხშირია, როცა მეორეხარისხოვანი როლისაგან შეიძლება მეტი სიამოვნება მიიღო. აი, ფილმში „მე ვხედავ მზეს“ სამხედრო მასწავლებლის ეპიზოდური როლი მქონდა, თუ გახსოვთ, იგი დღესაც ბევრ მთავარ როლს მირჩევნია... რუსთაველის თეატრში ჩემთვის საეტაპო იყო გლუმოვის (ჩემი პირველი როლი ამ სახელგანთქმულ თეატრში), ბარათაშვილის, ბახვა ფულავას, დონ-სეზარის, ჰამლეტის, ექვთიმე ქათამაძის, მგლის... პლატონ სამანიშვილის როლები.

თეატრმცოდნე ნ. კრიმოვა ბ. გეგეჭკორზე სპექტაკლ „ბინდრაკაბი“:

„რა თქმა უნდა, ძნელია დაიჯერო, რომ მგელს თამაშობს გიორგი გეგეჭკორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რომელიც რუსთაველის თეატრის სცენაზე გამოდიოდა ჰამლეტის, გლოსტერის, ნიკოლოზ ბარათაშვილის როლებში“.

— რომელ რეჟისორებთან გიმუშავნიათ სიამოვნებით?

— დიმიტრი ალექსიძემ და გიორგი ტოვსტონოგოვმა ჩემი თაობა აზიარა ანსამბლურ თეატრს, გარდასახვის, თანგანცდის თეატრს, მათთან მუშაობა ყოველთვის სასიამოვნო იყო. საერთოდ, უნდა გითხრათ, რომ ჩემი სასცენო მოღვაწეობის ორმოცი წლის მანძილზე უკეთეს შედეგს მაშინ ვაღწევდი, როცა თანამოაზრეები ერთად ვიყავით. ასეთი იყო მიხეილ თუმანიშვილი. სიამოვნებით ვიმუშავე რობერტ სტურუასთან ექიმ სტოკმანისა და პლატონ სამანიშვილის როლებზე. საერთოდ კი ბედნიერებაა, როდესაც რეჟისორი მსახიობის მეშვეობით ხსნის თავის კონცეფციას.

— კიდევ რა არის თქვენთვის ბედნიერება?

— რა თქმა უნდა, როლზე მუშაობის პროცესი. როცა სხვა პიროვნების ცხოვრებით ცხოვრობ, წვალობ, იტანჯები, ნერვიულობ, მშობიარესავით ხარ, მაგრამ ეს დიდი ბედნიერებაა. ბედნიერი ვარ, როდესაც ჩვენი კლასიკოსების თუ დღევანდელი ქართული პროზისა და პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს ვკითხულობ რადიოთი ან ტელევიზიით, ბედნიერი ვიყავი, როდესაც ბარათაშვილი გაბვასახიერე, როდესაც მოსკოვში აკაკი ხორავას შემოქმედებით საღამოზე დიდი მსახიობის გვერდით დავდექი და სახელდახელოდ მომზადებული იაგო ვითამაშე, ბედნიერი ვიყავი, როდესაც პლატონ სამანიშვილის ბოლო ფრაზები ვთქვი და მაყურებელმა გულთბილად მიიღო სპექტაკლი. ბედნიერი იყო ის დღეები, როდესაც რობერტ სტურუასა და რამაზ ჩხიკვაძის გამარჯვების მოწმე ვიყავი შორეულ ინგლისში, ბედნიერება იყო ბოლო პრემიერა კინომსახიობის თეატრში, და ახალ კოლექტივთან საერთო ენის გამონახვა. ანდა, ბედნიერება არ არის, როდესაც ხალხის სიყვარულს გრძნობ? ბევრი მოლოცავ მივიღე ამ დღეებში მაყურებლებისაგან. ეს ბედნიერებაა. ბედნიერებაა, როდესაც შენი ძვირფასი მასწავლებელი ღვაწლმოსილი პროფესორი გიგონებს... აი, ნახეთ....

„ძვირფასო გიორგი!

გილოცავთ დაბადების სამოცწლისთავს. თქვენი სასცენო შემოქმედება ქართული თეატრის სცენაზე, ძირფესვიანად დაკავშირებულია ქართული საბჭოთა მხატვრული კულტურის აღმავლობასთან. თქვენ მიერ რუსთაველის თეატრში შექმნილი სახეები წარმოადგენენ ქართული აქტიორული სკოლის საუკეთესო მონაგარს. ისინი აღბეჭდილი არიან ტრადიციის ნოვატორულთან ოსტატური შერწყმით. თქვენ ბრძანდებით ერთ-ერთი მესვეური მსახიობთა ახალი თაობისა, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსთაველის თეატრის წინა თაობათა მიერ მოპოვებულის თვისებასა და ახალ მოთხოვნათა საფუძველზე მის განვითარებაში. თქვენი სამაგალითო ოსტატობის მაღალი პროფესიული ღონე, თეატრისადმი გულმხურვალე სიყვარული და მისთვის თავდადებული შემოქმედებითი შრომა, მგზნებარე მოქალაქეობრივი პოზიცია და გამორჩეული ინდივიდუალური არტისტული ხელწერა, საამაყო წარმომადგენლობას უწევს ქართულ სასცენო კულტურას შინ და გარეთ.

გისურვებთ, ძვირფასო გიორგი, კვლავაც ასეთი შემართებით და გულმხურვალეებით ხელოვნობდეთ ჩვენი შშობლიური სცენის სადიდებლად.

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის თეატრის და კინოს ინტორიის და თეორიის კათედრის, სამეცნიერო-კვლევითი სექტორის სახელით დიმიტრი ჯანელიძე“.

ნათელა ურუშაძე შემოგვიერთდა.

— ქალბატონო ნათელა, არა მგონია მსახიობისა და თეატრის კრიტიკოსის აზრები ხშირად ემთხვეოდეს ერთმანეთს. ხომ არ ცდილობენ ოჯახში „კრიტიკის ჩახშობას?“ თუ, ამ მხრივ, ყველაფერი რიგზეა...

— ჯერჯერობით— კი. პროფესიათა სიახლოვე საშუალებას გვაძლევს ერთმანეთი შევამოწმოთ. მე პირადად ეს ტვირთი და უღელი ძალზე დამეზმარა, რომ უკეთ გავრკვეულიყავი მსახიობის შემოქმედების საკითხებში. საერთოდ, ჩვენი ოჯახი თეატრით სუნთქავს და ეს ყველაფერს აადვილებს. მართალია, ვაჟი ფერმწერია, მაგრამ სცენოგრაფიამ გაიტაცა და უკვე გააფორმა რამდენიმე სპექტაკლი. ქალიშვილი ფსიქოლოგია, ოღონდ ისიც მსახიობის ფსიქოლოგიაზე მუშაობს. ასე რომ, ჯერჯერობით ცხოვრება არ გვიჭირს. მეუღლეზე, აბა, რა უნდა გითხრათ, რამდენიმე სიტყვით გამოვხატავ მის პიროვნებას: იგი ოჯახისა და თავისი პროფესიის ფანატიკოსია.

* * *

გეგეჭკორების საძვალე მარტვილშია. ყოველი დაბადების დღეს, იმ დროს, როდესაც, ჰაა, უნდა შემობრიალდეს მკერდსავსე გაზაფხული, მსახიობი კიდევ ერთხელ მიუალურსებს ოთახის ერთ კედელზე ჩარიგებულ უძვირფასეს სურათებს. ეს ბაბუაა — მარტვილის ბოლო დეკანოზი, ეს —მამა, პოეტი და ხალხური მუსიკის მოამაგე ლადო გეგეჭკორი, ესეც ძმა — ცნობილი მსახიობი მერაბ გეგეჭკორი... მიუალურსებს და მარტვილის სანახების მიმოვლა მოუნდება. ისე, როგორც ადრე, ყმაწვილკაცობის ჟამს. თითქოს იმ თავწყაროს, იმ ძირფესვის შემოწმება უნდა, საიდანაც გეგეჭკორთა ცნობილი გვარი დღემდე მოსულა.

მერე ინახულებს მამაპაპეულს, გულს მოიოხებს და რწმუნდება, რომ თავწყაროს დაშრობა არ უწერია და ფესვებიდან ამოყრილ ტოტებზეც ჯანსაღი ყლორტებია.

ვ. მარდალეიშვილი.

● ●

სურათზე: რესპუბლიკის სახალხო არტისტი გიორგი გეგეჭკორი სპექტაკლში „ჩვენი პატარა ქალაქი“.

დღის აქტუალური ბიულეტენი

წესრიგშია

სპარტაკიადა

სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადისათვის ჩვენი რესპუბლიკის ველოსიპედისტთა მზადების თაობაზე გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ველოსპორტში შალვა სამადრეიშვილი:

ველოსპორტი

— **სასპარტაკიადო** პერსპექტივის თვალსაზრისით ტრეკზე და გზატკეცილზე რბოლის შესახებ ერთნაირი ოპტიმიზმით ვერ გესაუბრებით. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო სპრინტერის ემზარ გელაშვილის გარდა, ტრეკზე მრბოლთა გუნდში გამოცდილ და ძლიერ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებთან მ. სურმავასთან, პ. ჩეკარდოვთან, ი. ზიმენკოვთან და ი. კაზაკოვთან ერთად, ნიჭიერი, საერთაშორისო და საკავშირო ასპარეზობებში წარმატებამოპოვებული ახალგაზრდები ო. მჭედლიშვილი, ა. მიკუჩაძე, გ. გოდუნოვი და კიდევ რამდენიმე ახალბედა გვყავს. ასეთი გუნდი ძალზე ძლიერი კონკურენციის პირობებშიც მეექვსე ადგილისათვის იბრძოლებს. გუნდის უფროსი მწვრთნელია სპორტის დამსახურებული ოსტატი ომარ ფხაკაძე. ქართველ მრბოლთაგან ყველაზე კარგ შედეგს, ცხადია, ე. გელაშვილისაგან მოველით. ემზარს, ალბათ, თავის ძველ მეტოქესთან, ტულელ ს. კოპილოვთან მოუწევს სპრინტში პირველი ადგილისათვის ბრძოლა. ვვარაუდობთ, რომ ტრეკზე რბოლის დანარჩენ დისციპლინებში ჩვენი რესპუბლიკის სხვა ველოსიპედისტები რვა საუკეთესოს შორის იქნებიან და ჩასათვლელ ქულებს შემატებენ კოლექტივს.

საგზატკეცილო ველორბოლაში გაცილებით მოკრძალებულ შედეგებს ველით. ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ რამდენიმე ძირითად შემაფერხებელ მიზეზს: აშკარად გასაუმჯობესებელია საგზატკეცილო ველორბოლის მდგომარეობა სპორტსაზოგადოებებში, დიდი ხანია ხოხუმის გარდა, ვერსად ვერ ვმართავთ ისეთი რანგის საკავშირო შეჯიბრებებს, რომლებიც შედეგების ზრდაში წაადგებოდა ახალგაზრდა სპორტსმენებს. ჯერ კიდევ საკმარისი რაოდენობით არა გვაქვს ისეთი სპორტინვენტარი, რომელიც თანამედროვე მოთხოვნებს უპასუხებდა.

საქართველოს საგზატკეცილო ველოსმობილთა ნაკრები ამჟამად ინტენსიურად ემზადება მომავალი სტარტებისათვის. ნაკრების უფროსი მწვრთნელია დავით გეგეშიძე. სპარტაკიადისათვის უკეთ მომზადების მიზნით, გუნდი მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე ოფიციალურ და ამხანაგურ რბოლაში.



ჩვენარდოვმა 4 კილომეტრზე გამოდეგენებით გუნდურ რბოლაში სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონთა წოდება მოიპოვეს ლეონავამ, ოთარ დადუნაშვილმა, ედუარდ ჯიმშელეიშვილმა, ვლადიმერ ძებნიაურმა, არკადი ხაბუროვნიამ, ოლეგ პროკოფენკომ, ირაკლი კაკაბაძემ, ვლადიმერ პოპოვმა, გიორგი ტრსკინმა და პეტრე ჩეკარდოვმა.

სსრ კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადაში (1956 წელს) საქართველოს ველოსიპედისტებმა მეცამეტე ადგილი დაიკავეს (გზატკეცილი), მეორეში (1959) — მეექვსე (გზატკეცილი), მესამეში (1963) — მეთხუთმეტე (გზატკეცილი), მეოთხეში (1967) — მეცხრე და მეთხუთმეტე (ტრეკი და გზატკეცილი), მეხუთეში (1971) — მეშვიდე (ტრეკი), მეექვსეში (1975) — მეცხრე (ტრეკი), მეშვიდეში (1979) — მერვე (ტრეკი).

სახეობის სავიზიტო ბარათი

ამჟამად თბილისში ორი ველოტრეკი გვაქვს. მათგან პირველი აშენდა 1892 წელს, ხოლო 1972 წელს ჩვენმა ველოსიპედისტებმა შესანიშნავი ახალი ტრეკი მიიღეს. საქართველოში ამ სახეობამ 1921 წლიდან პოვა აღიარება. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები წარმატებით უპირატესად ტრეკზე რბოლაში ასპარეზობენ. რაც შეეხება საგზატკეცილო ველორბოლას, ამ სახეობაში მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით. სპრინტერთა შორის ომარ ფხაკაძემ არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა. მან 1965 წელს მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა, 1969 წელს ვერცხლის მედალს დაესაკუთრა, 1966 წელს კი ბრინჯაოს მედალს. ოლიმპიურ ასპარეზობაში მან ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ფხაკაძე ათჯერ ფლობდა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებას, ოთხჯერ — საკავშირო თასს და სამჯერ — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების ჩემპიონის წოდებას (1963, 1967 და 1971 წელს). 1979 წელს პეტრე

ყაბალი

პრეზიდენტთა მატჩები

ლვოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). ქალთა შორის მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალურ მატჩში, რომელშიც ერთმანეთს ხვდებიან **გაფრინდაშვილი** და **ლეონტიევა,** გათამაშდა მეოთხე პარტია. თეთრებით თამაშობდა ლენინგრადელი დიდოსტატი.

მეტოქეებმა აირჩიეს ლაზიერის გამბიტის იგივე ვარიანტი, რომელიც მეორე პარტიაში შეგვხვდა. ამჯერადაც ბრძოლა ლაზიერის ფრთაზე გაჩაღდა, სადაც დიდოსტატებმა ძირითად ძალებს მოუყარეს თავი. დიდხანს დაფაზე დაახლოებით თანაბარი პოზიცია იყო, მაგრამ შემდეგ ბრძოლა გამწვავდა. გაფრინდაშვილმა მატერიალური მსხვერპლის გაღებით აამოძრავა გამსვლელი პაიკი ლაზიერის ფრთაზე, მაგრამ ლეონტიევამ შეაჩერა იგი და დიდი უპირატესობა მიიღო.

მეოთხე პარტია

ლეონტიევა — გაფრინდაშვილი

ლაზიერის გამბიტი

1. e4 d5 2. d4 e6 3. c4 f6 4. c3 ge7 5. gg5 fbd7 6. e3 h6 7. gh4 0-0 8. gc1 c6 9. gd3 dc 10. gxc4 a6 11. gd3 c5 12. 0-0 b5 13. a4 b4 14. fe4 cd 15. fxd4 gb7 16. fxf6+ gxf6 17. gxf6 fxf6 18. fc6 eb6 19. ec2 efh8 20. a5 ec7 21. fxb4 exa5 22. fc6 eb6 23. ec5 exc5 24. gxc5 gfc8 25. gfc1 gxc6 26. gxc6 gxc6 27. gxc6 gd8 28. gc2 fd5 29. efg1 g5 30. gb3 fb4 31. gb6 a5 32. fge2 fd3 33. gc4 fc1+ 34. fge1 gc8 35. b3 fa2 36. ga6 gc5 37. ga7 fb4 38. gxf7 a4 39. ga7 a3 40. efd2 a2.

ამ მდგომარეობაში პარტია გადაადო და შემდეგ გაფრინდაშვილმა ბრძოლის განუახლებლად დათმო იგი. ანგარიში გახდა 3:1 ლეონტიევის სასარგებლოდ.

შემანასანელ საათს: გუშინ ლვოვში გათამაშდა მეხუთე პარტია, რომელიც გადაადო გაფრინდაშვილისათვის უკეთეს პოზიციაში.

* * *

ავსტრიის ქალაქ ფელდენში დაიწყო მოჭადრაკე ქალთა კიდევ ერთი მეოთხედფინალური მატჩი. როგორც ცნობილია, აქ თამაშობენ **ნანა იოსელიანი** და ჩინელი **ლიუ შილანი.** პირველი პარტია, რომელშიც იოსელიანი თეთრებით თამაშობდა, მეორმოცე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. აქვე უნდა ეთამაშათ მოჭადრაკეკალთა მეოთხედფინალური მატჩის პირველი პარტია **ვასილ სმისლოვსა** და **რობერტ პიუბნერს** (გფრ). სმისლოვის ავადმყოფობის გამო იგი არ გამართულა.

სამართალდარღვევა: ვინ აგებს პასუხს?

საჭესთან ჩასთვლიმა და...

ხუთი ტონა ვაშლით დატვირთული სატვირთო ავტომანქანა საღამო ხანს გავიდა სოფელ ხვედურეთიდან და გეზი დასავლეთისკენ აიღო. მძღოლის გვერდით კაბინაში მოკალათებული ახალგაზრდა კაცი გზას გასაქეროდა და ამბობდა:

— ჩვენს ჯინაზე ჩამოიქცა ცა, როგორ გადაუღებლად თოვს, თუ მშვიდობით ჩავედით ფოთში, იეოცხლე, მერე არაფერი მიჭირს, ვაშლს კარგი მაზანდა ექნება...

შოფერი მარჯვე კაცი ჩანდა, საჭეს მართლაც ოსტატურად მართავდა და გამთენიისას ხობის რაიონში იყვნენ. აქედან ფოთამდე კი ოცდაათიოდე კილომეტრი თუ იქნება, გზა ხელისგულივით არის, მოუმატა მანქანამ სიჩქარეს, მთელი ღამის ნასიარულებ მძღოლს ჭალადიდთან საჭესთან ჩასთვლია... სატვირთო ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა, ხეს შეასკდა და გადაბრუნდა. შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალენ ავტომანქანის მძღოლი მასურ არჩილის ძე მასურაშვილი და მძღოლის კაბინაში მჯდომი ალექსანდრე ვასილის ძე კოპაძე.

სატვირთო ავტომანქანა, რომლის სახელმწიფო ნომერია 17-31 გალ, ეკუთვნის საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს № 1 ტრესტის ქარელის უბნის. საკითხავია, რატომ გასცა № 1 ტრესტის ქარელის უბნის უფროსმა კ. ნასყიდაშვილმა სამგზავრო ფურცელი კერძო პირის ვაშლის გადასაზიდად?

პასუხს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროდან მივიღებთ.

ბ. გორელი.

საბჭოთა ქართლო დარბაზიდან

ქეიფი გიტარების საამქროში

თბილისის მუსიკალური კლავიშებიანი საკრავების ფაბრიკას მშვენერი, კეთილმოწყობილი სასადილო აქვს. იგი მუშა-მოსამსახურეებისათვის არის განკუთვნილი, მაგრამ შუადღისას თენგიზ ლავრელაშვილმა, ვაჟა ქილეხსაშვილმა, თენგიზ ყიფიანმა, გელა ციცაგმა, მანონ კაბისაშვილმა, ნელი მერებაშვილმა და ვიოლეტა ქუხიანიძემ პურ-მარილი გიტარების საამქროში გააწყვეს. ქეიფისათვის გიტარაც ხომ საჭიროა და შორს წასვლაც არ მოუწევდათ... შეკრებილნი ერთმანეთს ძმაკაცობასა და სიყვარულს ეფიცებოდნენ და თ. ყიფიანის მიერ მოტანილი ალოტრიანი ბოცა ღვინო ძირამდე დაცალეს... მთვრალები სუფრიდან აიმალნენ და საამქროდან გამოვიდნენ.

ბარბაცით მიმავალმა ვ. ქილეხსაშვილმა გასახდელის კართან სანაგვე ურნა წააქცია, თ. ლავრელაშვილი და ვ. ქილეხსაშვილი ერთმანეთს შეეკამათნენ, ამას ხმამაღალი ლაპარაკი, გინება და გაწევ-გამოწევა მოჰყვა და მუშტი-კრივი გაჩაღდა. თ. ლავრელაშვილმა ჯიბის დანა ამოიღო და ვ. ქილეხსაშვილი ხელში დაჭრა. მეინახეებმა მოჩხუბრები რისი ვაი-ვაგლახით გაამეელეს...

თ. ლავრელაშვილი ფაბრიკის ეზოს ჭიშკრიდან მობრუნდა, უკან გამოიქცა, მას დაედევნენ ამხანაგები, მაგრამ ბოროტმა ხულიგანმა მაინც შეძლო ვ. ქილეხსაშვილისათვის იმავე დანის გულში ჩარტყმა და ადგილზევე მოკლა. მკვლელმა თავს გაქცევით „უშველა“...

ქ. თბილისის გლდანის რაიონის სახალხო სასამართლომ სამსჯავრო სხდომაზე თენგიზ შოთას ძე ლავრელაშვილის მიმართ წაყენებული ბრალდება დადასტურებულად ჩათვალა და მას ათი წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

მკვლელი საკადრისად დაისაჯა, მაგრამ საკითხავია, რას გვეტყვის ამ აღმაშფოთებელი ფაქტის შესახებ თბილისის მუსიკალური კლავიშებიანი საკრავების ფაბრიკის ხელმძღვანელობა?

ბ. ეკალაძე.

ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ

ᲥᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲙᲠᲘᲢᲔᲠᲘᲣᲛᲔᲑᲘᲗ

ᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ დღის წინ მოსკოვში დამთავრდა ქვეყნის მუსიკალური უმაღლესი სასწავლებლების საკომპოზიტორო განყოფილებათა სტუდენტების საკავშირო კონკურსი. ათი დღის განმავლობაში ყიურიმ, რომელსაც სათავეში ედგა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი ტ. ხრენიკოვი, სამასამდე ნაწარმოები მოისმინა.

ყიურის შემადგენლობაში იყვნენ ცნობილი კომპოზიტორები და მუსიკოსები, რომელთა შემოქმედება განსაზღვრავს თანამედროვე მუსიკის განვითარების გზებს. ყიურის წევრი იყო აგრეთვე საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, კომპოზიტორი დ. თორაძე. საქინფორმის კორესპონდენტმა მ. გაბრიაძეს კომპოზიტორს სთხოვა ეამბნა ამ შემოქმედებითი დათვალიერების შედეგების შესახებ.

— კონკურსზე ასპარეზობა მიმდინარეობდა ჟანრების — სიმფონიური, საინსტრუმენტო, კამერული, საგუნდო, საესტრადო, მასობრივი სიმღერის მიხედვით. კონკურსის ერთ-ერთი ღირსება იყო მრავალეროვნული საბჭოთა საკომპოზიტორო სკოლის მაღალი დონე. ჩვენს წინაშე გადაშალა ქვეყანაში საეკლესიური მუსიკალური განათლების დაყენების საქმის ფართო პანორამა. ამ ასპარეზობის ინიციატორები იყვნენ სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო და სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირი. კონკურსი პრაქტიკული განხორციელება იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა „შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“. გამარჯვებულმა ნაწარმოებებმა ცხადყო შინაარსის სიღრმე, ავტორთა მოქალაქეობა, იმის უნარი, რომ გამოხატონ თავიანთი გრძნობები, იდეები საინტერესო მუსიკალური სახეებით. ახალგაზრდების მთელი რიგი საუკეთესო თხზულებები აღინიშნა მაღალი პროფესიონალიზმით, ორიგინალური ხელწერით, სტილისტიკური მთლიანობით.

ისევე როგორც წინა კონკურსებში, „ამ დათვალიერებაზეც გამოიჩინეს თავი ახალგაზრდა ქართველმა კომპოზიტორებმა — თბილისის კონსერვატორიის აღზრდილებმა.

სიმფონიურ ჟანრში მეორე პრემია მიენიჭა თბილისის კონსერვატორიის ასპირანტს მარინე ნიკურაძეს (პროფესორ დ. თორაძის კლასი) — სიმფონიურ ორკესტრთან ერთად სავიოლინო კონცერტისათვის.

ვოკალურ ჟანრში მეორე პრემიით აღინიშნა თბილისის კონსერვატორიის მეზუთე კურსის სტუდენტი გენადი ფიოლია (პროფესორ დ. თორაძის კლასი) — სიმღერების ციკლისათვის „ძველი თბილისის ფოლკლორი“.

კამერულ ჟანრში